



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **მამუკა ხაშხაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

ნინო ბეგაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ია ვარდოსანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ინგა მოსიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

მარინა თავართქილაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ხათუნა კალმახელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ანგელინა ეფრემიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ია სეხნიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ნანა ცინცაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ედუარდ ნაკაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227730649

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანი
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი მელაანი
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/Melaanisskola
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Melaani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 678978

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000739678 24/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი მელაანი ერთი შენობა
2.	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი მელაანი ერთი შენობა
3.	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი მელაანი ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 15 და 16 ივლისს სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისათვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს, ბუღალტერს, სპეციალურ მასწავლებელს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის მე-2 დღეს ჩატარდა ექსპერტების შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც შეაჯერეს მიღებული ინფორმაციები.

ვიზიტის დროს პროცესში ჩართული იყო დაწყებითის საგნობრივი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში. დამატებით გამოითხოვა ის დოკუმენტები, რომლებიც საჭირო იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაწყებით საფეხურზე. 15 ივლისს საგნობრივ ექსპერტებთან (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერებები) დაესწრო შეხვედრას და წარმართა ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან, 2 საათის განმავლობაში. მისცა რჩევები და კიდევ გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც კათედრის წარმომადგენლებმა ვიზიტის დასრულებამდე მიაწოდეს. ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში და დაეთანხმა საგნობრივი ექსპერტების შეფასებებს.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმდებლობით. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:190	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი #2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.09.2024 წლამდე.
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება შვიდწლიან გეგმას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 16.09.2024 წლამდე. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც მოცემული იქნება ინდიკატორით განსაზღვრული ყველა კომპონენტი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 16.09.2024 წლამდე.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 19.03.2024 – 19.03.2025 წლამდე.
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა (მეორე სართულზე დამაკავშირებელი კიბის ან ლიფტის მონატაჟი) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 21.03.2024 – 21.03.2025 წლამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--	--



ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მოწყობა, ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა (აღჭურვა სათანადო რესურსებით) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 20.08.2024 – 20.08.2025 წლამდე.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მოწყობა, ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა (აღჭურვა სათანადო რესურსებით) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 20.08.2024 – 20.08.2025 წლამდე.
სტანდარტი #2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მოწყობა ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა (აღჭურვა სათანადო რესურსებით) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 20.08.2024 – 20.08.2025 წლამდე.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
--	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	მიზანშეწონილია მისია უფრო კონკრეტული იყოს და უფრო მკაფიოდ გამოხატავდეს კონკრეტული სკოლის სპეციფიკას და მთავარ მიზანს. ასევე მიზანშეწონილია სკოლის ხედვაში მითითებული იყოს გარკვეული ვადა და ამ ვადაში მისაღწევი სასურველი შედეგები.
ინდიკატორი 1.1.1.6.	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	მიზანშეწონილია საჯარო რეესტრის ამონაწერში დაზუსტებულად აისახოს სკოლის სრული სახელწოდება „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა“ (ნაცვლად მითითებული - მელაანის საჯარო სკოლისა).
ინდიკატორი 1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	მიზანშეწონილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად უფრო მკაფიოდ გაიწეროს შეფასების მექანიზმებიც.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	მიზანშეწონილია სტრუქტურული სქემა უფრო დაზუსტებით მოიცავდეს ადმინისტრაციის და ტექნიკური პესრონალის შემადგენლობას. მკაფიოდ ჩანდეს რომელი სტრუქტურული ერთეული რომელს ექვემდებარება და როგორია მისი შემადგენლობა. ასევე მიზანშეწონილია სქემაში მოცემული



		სტრუქტურული ერთეულების/პირების დასახელებები ზუსტად იმეორებდეს სკოლაში რეალურად არსებული ერთეულების/პირების დასახელებებს. მაგ. დისციპლინური კომიტეტი სტრუქტურის სქემაში მოხსენიებულია როგორც დისციპლინური საბჭო. მიზანშეწონილია იდენტური იყოს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სტრუქტურულ სქემაში მოცემული კათედრების დასახელებები. მაგ. მათემატიკის კათედრა თუ მათემატიკისა და ტენოლოგიების კათედრა.
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	მიზანშეწონილია სკოლის მიერ ვაკანსიების გვერდზე გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია კვალიფიკაციის დასადასტურებლად იყოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ მოთხოვნებზე ორიენტირებული. ასევე მიზანშეწონილია აპლიკანტის შერჩევის დროს საკონკურსო კომისიამ შეადგინოს 3 ოქმი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილი კონკურსის 3 ეტაპის (1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა) გათვალისწინებით). ასევე მიზანშეწონილია შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დირექტორმა წერილობითი სახით ოფიციალურ დოკუმენტში ასახოს შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება.
ინდიკატორი 3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა) და სკოლამ უფრო ეფექტურად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის არსებული მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა.
ინდიკატორი 3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ	მიზანშეწონილია გასაჩივრების წესი უფრო დეტალურად არეგულირებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, მტკიცების ტვირთი, აკადემიური საჩივარი, საჩივარზე უარის



	გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	თქმა, რა შედეგები მოყვება საჩივრის განხილვას, გასაჩივრების სპეციალური ფორმები.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად. მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით #131 01.04.2024წ. გაცემული რეკომენდაციების შესრულება. .
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (14.06.2023წ.) შესაბამისად ან დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს ერთი პირი/შეუთავსოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქცია ერთ-ერთ თანამშრომელს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს სკოლაში



		გამოყოფილი პირის შესახებ (სკოლას შეტყობინების ვალდებულება აქვს დანიშნულებიდან/განსაზღვრიდან 10 დღეში).
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	მიზანშეწონილია სკოლამ შეცვალოს შეკიდული ჭერის გადამწვარი გრძივი განათების ნათურები..
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.	მიზანშეწონილია ბიბლიოთეკარს ჰქონდეს წლიური სამოქმედო გეგმა, ასევე გაიაროს სათანადო ტრენინგი საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევისა და წიგნადი ფონდის ელექტრონული აღრიცხვიანობისა და სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო სივრცის საგანმანათლებლო მიზნებისათვის ეფექტურად გამოყენების საკითხებზე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	მათემატიკა - სამინისტროს მიერ შემოთავაზებული რესურსების (თემატური მატრიცები) გამოყენების შემთხვევაში მიზანშეწონილია, გარკვეული ცვლილების გაკეთება. კერძოდ, მნიშვნელოვანია,



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	აქტივობები მოერგოს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც კურიკულუმს შესძენს უნუკალობას. ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა)- სასურველია, მუსიკის საგანში, დაწყებით საფეხურზე, კურიკულუმში მითითებული გრაფა - ძირითადი კონტექსტს მაგალითი შეივსოს არა თემასთან დაკავშირებული ზოგადი რესურსის მითითებით, არამედ ჩაიწეროს კომპლექსურ დავალებებში წარმოდგენილი კონკრეტული რესურსი, ხოლო გრაფაში -მაგალითები შედარებისთვის - ჩაიწეროს სხვა, მსგავსი რესურსი (მაგ, სხვა სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი, ელექტრონული რესურსი და ა.შ.), რომელიც დაეხმარება მოსწავლეს თემასა და საკითხში უკეთ წვდომაში (სანიმუშოდ, იხილეთ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი გრაფა - მაგალითები შედარებისთვის). უცხოური ენები - სასურველია, <i>საგნობრივ კურიკულუმებში (მეორე უცხო ენა) მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, სამეტყველო ქმედებები და ენობრივი საშუალებები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე.</i> ფიზიკური აღზრდა - კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია, წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არეული გრაფები დალაგდეს და ასევე შეივსოს თემების მიხედვით დავალების პირობები. კომპიუტერული ტექნოლოგიები - მიზანშეწონილია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ კლასის კურიკულუმები, მკაფიოდ გაწერონ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები.
--	--	---



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს თითოეული თემისთვის დათმობილი საათების რაოდენობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) - მიზანშეწონილია, ბუნებისმეტყველების მესამე, მეხუთე და მეექვსე კლასების კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; მეექვსე კლასში თემაში „ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა“ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის ორგანიზმი და მოვლენა, პროცესი. სასურველია, მეექვსე კლასების კურიკულუმში (თემები „ენერგია და მისი გარდაქმნა“ , „ნარევები და მათი დაყოფის გზები“) დაიხვეწოს კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითი. მესამე კლასის კურიკულუმში გაკეთდეს მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპონენტების შესაბამისი ჩანაწერები;
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - სასურველია, კურიკულუმის ბოლო სვეტს „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“ შეეცვალოს სახელი და დარჩეს მხოლოდ „სასწავლო რესურსი“. ყველა თემისთვის ჩაიწეროს როგორც ბეჭდური , ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, ასევე მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება თემის უკეთ გაგება-გააზრებაში. (მე-5 - მე-6 კლასები). საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ის სასწავლო რესურსები, რომელსაც პედაგოგი რეალურად იყენებს სასწავლო პროცესში თემასთან/საკითხთან მიმართებაში. ფიზიკური აღზრდა - სასურველია, სკოლაში არსებული ინვერტარის გათვალისწინებით (მაგალითად : ბურთები, ნიშნულები, ბარიერები და სხვა) სამომავლიდ კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები



ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	კომპიუტერული ტექნოლოგიები - კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას მიზანშეწონილია, რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, მიუხედავად იმისა, კლასში ირიცხება თუ არა სსსმ მოსწავლე. სასურველია, გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა, ან განხორციელდეს პროექტები და ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა უნარ-ჩვევის გამომუშავებას, როგორცაა დამოუკიდებელი მუშაობა, კრიტიკული აზროვნება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ამოცნობა და სხვ.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	უცხოური ენები - სოლო ტაქსონომიით შეფასებისას, შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზისას შეფასების კრიტერიუმები სასურველია გაიწეროს შესაფასებელ ყველა დონეზე. ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) - სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს, რა უნდა გაეკეთებინა მოსწავლეს, წახალისოს, რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა მოსწავლეს, რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ. ფიზიკური აღზრდა - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) - მიზანშეწონილია, რომ თანდართულ მატრიცებში სრულყოფილად აისახოს როგორ ხდება კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება სასწავლო პროცესში.



ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა - სასურველია, თითოეული თემისთვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით. (მე-5 - მე-6 კლასები).
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	სახელმწიფო ენა - მიზანშეწონილია, კურიკულუმებში ზუსტად იყოს მინიშნებული თემის ფარგლებში გამოყენებული დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო ან სხვა რესურსი. კომპიუტერული ტექნოლოგიები - თითოეული თემის დამუშავებისას მიზანშეწონილია, გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. დამატებითი რესურსები გამოყენდება მიზანშეწონილია როგორც უშუალოდ მასალის ახსნისა და გადაცემისათვის (თვალსაჩინოებები, მაგალითები, ფოტო/ვიდეო მასალები), აგრეთვე შესწავლილი საკითხების გაგება-გააზრებისთვის
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა) - სასურველია, მუსიკის საგანში, მეშვიდე კლასის კურიკულუმში, პირველ და მეორე თემებში ცნებების გრაფაში ჩაიწეროს ის ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ თემასა და საკითხში, მსგავსად ამავე კლასის მესამე თემისა. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულუმის სრულყოფისათვის სასურველია, წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არეული გრაფები დალაგდეს და ასევე შეივსოს თემების მიხედვით დავალების პირობები.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახელმწიფო ენა - სასურველია, სახელმძღვანელოს მიხედვით მოცემული ყველა ტექსტი მიმდევრობით კი არ გადადიოდეს კურიკულუმებში, არამედ ისინი თითოეული თემის ფარგლებში უკავშირდებოდეს შერჩეულ შუალედურ მიზანს და იყოს დაძლევადი. მათემატიკა - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს თითოეული თემისთვის დათმობილი საათების რაოდენობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა)- მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული იყოს ყველა სავალდებულო თემა (ზუსტი დასახელებით) ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და მუშავდებოდეს შესაბამისი სამიზნე ცნებები. ბიოლოგიაში მეცხრე კლასის კურიკულუმში თემის დასახელება უნდა იყოს „ადამიანის შეგრძნების ორგანოები“ (და არა „შეგრძნების ორგანოები“), „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა“ (და არა „რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა“). მერვე კლასის კურიკულუმში თემის, „ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები“, ფარგლებში განსაზღვრული საკითხები სასურველია დაიხვეწოს და მეტად დაუახლოვდეს თემას. ფიზიკაში მეშვიდე კლასში თემაში, „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, სამიზნე ცნება ფიზიკური პროცესები არ მუშავდება. მეცხრე კლასში თემის დასახელება „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“ და არა „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	მათემატიკა - სასურველია კურიკულუმის ბოლო სვეტს „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“ შეუცვალოთ სახელი, დატოვოთ „სასწავლო რესურსები“ და VIII კლასის კურიკულუმში, ყველა თემისთვის, ჩაიწეროს ყველა ის რესურსი, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს მოცემული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად.



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ის სასწავლო რესურსები, რომელსაც პედაგოგი რეალურად იყენებს სასწავლო პროცესში თემასთან/საკითხთან მიმართებაში. ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები ძალიან ბევრია. ზოგჯერ კი მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოთი შემოიფარგლება. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -სასურველია, სკოლაში არსებული ინვერტარის გათვალისწინებით (მაგალითად : ბურთები, ნიშნულეები,ბარიერები და სხვა) სამომავლიდ კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა - შუალედური მიზნის მისაღწევი აქტივობების დაგეგმვისას სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს ყველა მოსწავლის თვითრეალიზებისა და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას, კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს მინიშნებული სსსმ მოსწავლისთვის განკუთვნილი შუალედური მიზნის მისაღწევი კომპლექსური დავალება.
		მათემატიკა - სასურველია კურიკულუმის ბოლო სვეტს „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის” შეუცვალოთ სახელი , დატოვოთ „სასწავლო რესურსები“ და VIII კლასის კურიკულუმში, ყველა თემისთვის, ჩაიწეროს ყველა ის რესურსი, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს მოცემული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად. ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიზანშეწონილია, კათედრამ მომავალში შეიმუშავოს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების უფრო მოქნილი გეგმა, კონკრეტულ თემაში მეთოდური რჩევების, გამოსაყენებელი სტრატეგიების და რესურსების მითითებით, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა - სასურველია, კიდევ უფრო დაიხვეწოს, დაკონკრეტდეს და გამრავალფეროვნდეს ამა თუ იმ სასწავლო მიზნისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკები. მათემატიკა - სასურველია, თითოეული თემისთვის, სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) - სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. უცხოური ენები - სოლო ტაქსონომიით შეფასებისას, შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზისას შეფასების კრიტერიუმები სასურველია გაიწეროს შესაფასებელ ყველა დონეზე. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა სადემონსტრაციო მაგიდით, გამწოვი კარადითა და ხელსაბანით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;	უცხოური ენები - საგნობრივ კურიკულუმებში (მეორე უცხო ენა) სასურველია მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, სამეტყველო ქმედებები და ენობრივი საშუალებები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულუმის სრულყოფისათვის სასურველია, წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არეული გრაფები დალაგდეს და ასევე შეივსოს თემების მიხედვით დავალების პირობები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა - სასურველია, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, რომელშიც კარგად გამოჩნდება, რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. მათემატიკა - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს თითოეული თემისთვის დათმობილი სავარაუდო საათების რაოდენობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. ქიმიაში XI კლასში თემაზე „არაორგანულ ნაერთთა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები“ არ მუშავდება სამიზნე ცნება ქიმიური ბმა. ფიზიკაში XI კლასში თემაზე „ელექტრომაგნიტური მოვლენა“ არ მუშავდება სამიზნე ცნება ენერგია, ასევე თემაში „გეომეტრიული



		ოპტიკა“ არ მუშავდება სამიზნე ცნება ძალა. ბიოლოგიაში XI კლასის კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - სასურველია, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში (X-XI კლასები) რესურსების სვეტში ჩაიწეროს გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, სხვა რა რესურსებს იყენებს მასწავლებელი ამა თუ იმ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია, სკოლაში არსებული ინვენტარის გათვალისწინებით (მაგალითად : ბურთები, ნიშნულეები, ბარიერები და სხვა) კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა - სასურველია, თითოეული თემისთვის, სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. უცხოური ენები - სოლო ტექსტონომიით შეფასებისას, შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზისას შეფასების კრიტერიუმები სასურველია გაიწეროს შესაფასებელ ყველა დონეზე. ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა) უმჯობესია, საშუალო საფეხურზე, მუსიკის საგანში, პროექტის შეფასების რუბრიკის შედგენისას განისაზღვროს პროექტის შეფასების კრიტერიუმები (კონტენტი/შინაარსი, მდგრადობა, პრობლემის იდენტიფიცირება, კრეატიულობა, ჯგუფების ჩართულობა, თანამშრომლობა და სხვა), მსგავსად, ხელოვნების საგანში კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრიკისა.



		ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასებდეს რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) მიზანშეწონილია, თანდართულ მატრიცებში სრულყოფილად აისახოს როგორ ხდება კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო: სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ხელსაწყოები და მასალები ბიოლოგიისთვის, ქიმიისთვის და ფიზიკისთვის, მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა თემებზე მომზადებული პოსტერები, პროექტების ფარგლებში შემუშავებული პროდუქტები. პედაგოგები ატარებენ მარტივ ცდებს/ექსპერიმენტებს, აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში არსებულ სასწავლო რესურსებს. თუმცა კაბინეტში არ არის გამწოვი კარადა და მაგიდა ცეცხლგამძლე ზედაპირით. შესაბამისობის გეგმაში ლაბორატორიასთან დაკავშირებით ჩანაწერი არ არის. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტების შევსება ცდების ჩატარებისთვის აუცილებელი მასალებით. სკოლას 2024 წლის 29 მარტს გამოცემული აქვს ბრძანება „ლაბორატორიის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“. მიზანშეწონილია, სკოლამ დროულად აღჭურვოს ლაბორატორია საჭირო ინვენტარითა და რესურსებით.



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2023 წლის 07.09.2023წ. სხდომის ოქმი #8 და სამეურვეო საბჭოზე სხდომის ოქმი #5 07.09.2023წ.. სკოლის მისიაა აღზარდოს განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი და კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.

სკოლის ხედვა: სკოლა იზრუნებს შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, წამახალისებელი გარემო, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის. მისია და ხედვა ასახულია 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში.

რჩევა: მიზანშეწონილია მისია უფრო კონკრეტული იყოს და უფრო მკაფიოდ გამოხატავდეს კონკრეტული სკოლის სპეციფიკას და მთავარ მიზანს. ასევე მიზანშეწონილია სკოლის ხედვაში მითითებული იყოს გარკვეული ვადა და ამ ვადაში მისაღწევი სასურველი შედეგები.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების როლი მოსწავლეების მიღწევებსა და შედეგებზე, კერძოდ უსაფრთხო, მზრუნველი და წამახალისებელი გარემოს შეთავაზება. სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით სკოლა ცდილობს გააძლიეროს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა სასკოლო პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა, სკოლას შემუშავებული აქვს პიროვნული ზრდისა და განვითარების საშუალებები, როგორიცაა არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმი (მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის განვითარების მიზნით თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელ „აისტან“).

სკოლას ზრუნავს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე - ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სამედიცინო მხარდაჭერა, სკოლაში საქმიანობს სპეციალური მასწავლებელი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი. სისტემატიურად ახორციელებს ბულინგის აღკვეთის პრევენციულ ღონისძიებებს.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი **კლუბები: მაგ. სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავალი ჩვენია“**. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2023-2024 ს/წ II სემესტრში კლუბისმიერ განსახორციელები აქტივობების ნუსხა. ასევე კლუბის კურატორი მასწავლებლის რეფელქსია კლუბის საქმიანობის შესახებ. ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო და მამოტივირებელი ფსიქო-ემოციური გარემოს არსებობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

მისიის შემუშავება მოხდა 2023-2024 ს/წლის დასაწყისში (სექტემბერში) სკოლის დირექციის მიერ. მისიის შემუშავებაში პირისპირ შეხვედრებისა და ზეპირი გამოკითხვების ფორმატში მონაწილეობდნენ მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები. სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი #1 6 სექტემბერი, 2023წ. მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვის თაობაზე.

ავტორიზაციის განაცხადის შევსების შემდეგ, 2024 წლის მარტიდან სკოლამ შეიმუშავა და ოფიციალურად დაამტკიცა **მეთოდოლოგიის დოკუმენტი**. კერძოდ **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-19 28.03.2024წ.** „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ და დაიწყო მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის განვითარებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით მეთოდოლოგიის შესაბამისად დირექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განმახორციელებელი **სამუშაო ჯგუფი**. **მეთოდოლოგიის დოკუმენტი (მე-7 მუხლი)** ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების **შემუშავების პროცედურებს/ეტაპებს**: სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის შემუშავება, პროექტის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, პროექტის საბოლოო სახით ფორმირებას, დირექტორისათვის წარდგენას და სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას. სკოლა გეგმავს აღნიშნული ეტაპების დაცვით განახორციელოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, რაც დასრულდება 2024-2025 ს/წ დასაწყისში.

2024 წლის 15 აპრილს შედგა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელზეც არჩეულ იქნა სამუშაო ჯგუფის მდივანი, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით შედგა **სათანადო კითხვარი. სხდომის ოქმი #1 15.04.2024წ.** სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) გამოკითხვა, გააკეთა გამოკითხვის ანალიზი. **2024 წლის 16 ივლისს სკოლის დირექტორის მ/შ #2-70 ბრძანებით** ცალკე განისაზღვრა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელი შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობა 7 წევრით. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჯგუფი შეიმუშავებს ახალი მისიისა და ხედვის პროექტს, რომელსაც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა 2024-2025 ს/წლიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მისია, ხედვა, ღირებულებები) გაზიარების მექანიზმებს: სკოლის ვებ-გვერდზე, ელექტრონულ ფოსტაზე, პორტალი ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელში, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული კომუნიკაცია სკოლის აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი.

სკოლამ წარმოადგინა **I კლასის მშობელთა კრების ოქმი** მშობლებისათვის მისიისა და ხედვის გაცნობის საკითხთან დაკავშირებით, ასევე მე-7 კლასის ერთ-ერთი მშობლის წერილობითი უკუკავშირი შესაბამისი მოსაზრებებით მისიის, ხედვისა და ღირებულებების თაობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, კერძოდ სკოლის ცენტრალური ფოიეში გამოკრულია სტენდის სახით. მისია და ხედვა ასახულია 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში. დოკუმენტს დამრიგებლები აზიარებენ კლასების მიხედვით შექმნილ სოციალურ ჯგუფებში და აცნობენ მშობელთა კრებებზე. ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 448 (15.09.2005) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც მოსარგებლე მხარედ დაფიქსირებულია სკოლის სახელწოდება „მელაანის საჯარო სკოლა“.

რჩევა: მიზანშეწონილია საჯარო რეესტრის ამონაწერში დაზუსტებულად აისახოს სკოლის სრული სახელწოდება „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა“ (ნაცვლად მითითებული - მელაანის საჯარო სკოლისა). ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1 - სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი
- დანართი N 2 – 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-19 28.03.2024წ. „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 15.04.2024წ.
- დანართი N 40 -პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე - ოქმი #8 - 7 სექტემბერი, 2023წ.



- დანართი N 42 - სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებაზე - ოქმი #5 7 სექტემბერი, 2023წ.
- დანართი N 5 - სკოლის საინფორმაციო დაფის ფოტო;
- დანართი N41 - კათედრის სხდომის ოქმი (მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვა) - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი #1 6 სექტემბერი, 2023წ.
- დანართი N 69 - მშობლების უკუკავშირი
- დანართი N 8 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-19 28.03.2024წ. „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების“ შესახებ. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის ფორმირებას, ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს (SWOT ანალიზის გაკეთებას), სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას სამუშაო ჯგუფის მიერ, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით პრიორიტეტების იდენტიფიცირებას და შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის ფორმირებას. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული დაგეგმარების ძირითად ეტაპებს, როგორცაა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, მიზნებისა და ამოცანების დასახვა და მონიტორინგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავების პროცესშია. შექმნილია და დირექტორის ბრძანებითაა დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციას. ჯგუფმა მ/წლის მარტში დაიწყო მუშაობა 2024 წლის აპრილ-მაისი-ივნისში განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ იმუშავა სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენაზე, შეიმუშავა სპეციალური კითხვარი და ჩაატარა გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების გასაგებად, გააკეთა შეგროვებული მონაცემების ანალიზი, რომლის საფუძველზეც შეადგინა სკოლის SWOT ანალიზი და საბოლოოდ შეიმუშავა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი 2024-2031 წლებისათვის.

სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 15.04.2024წ. რომლის მიხედვითაც განიხილეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და შეიმუშავეს კითხვარი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სკოლის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. სხდომის ოქმი #2 22.05.2024წ. რომლის მიხედვითაც განიხილეს სკოლის SWOT ანალიზი. სხდომის ოქმი #3 02.07.2024წ. რომლის მიხედვითაც განიხილეს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი, განათავსეს სკოლის ვებ-გვერდზე სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, დაგეგმილია პროექტის წარდგენა პედაგოგთა და სამეურვეო საბჭოსათვის 2024 წლის სექტემბერში.

პროექტის მიხედვით სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და ხედვასთან. კერძოდ, სკოლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებებია: 1. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, 2. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, 3. უსაფრთხო, მზრუნველი და ორგანიზებული გარემოს შექმნა, 4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესება. სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის განახლებას და ამის შესაბამისი სტრატეგიული მიზნების დასახვას-დაზუსტებას-მორგებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის დასრულება 2024 წლის 1 სექტემბერს.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება 2024 წლის 1 სექტემბარმდე.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 07.09.2023წ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია წინა სასწავლო წლის თვითშეფასებაზე, რომელიც სკოლამ განახორციელა სხვადასხვა მონაცემების შეგროვებითა (ზეპირი ფორმით) და გაანალიზებით. ინდიკატორის მოთხოვნის მიხედვით, ერთწლიანი გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის სტრატეგიულ გეგმას. იმის გათვალისწინებით, რომ 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმით დასახულია ის ამოცანები, რომლებიც სტრატეგიული გეგმის პროექტშია მოცემული (სტრატეგიული მიმართულებების სახით) ვთვლით რომ მოცემულ ეტაპზე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეესაბამება სტრატეგიულ გეგმის პროექტს (სტრატეგიული გეგმა ძალაში შევა 2024 წლის სექტემბერში) და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. გარდა ამისა, 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების კითხვარი, რომლის

საშუალებითაც სკოლა გამოიყენებს მონაცემების შეგროვების წერილობით ფორმატს და დეტალურად დაადგენს საჭიროებებს ყველა მიმართულებით, გააკეთებს 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმის ანალიზს, რაც აისახება 2024-2025 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. შესაბამისობაშია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები მორგებულია შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებები გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული გეგმის პროექტში. თუმცა მოცემულ ეტაპზე სკოლას არა აქვს დამტკიცებული სტრატეგიული შვიდწლიანი და ვერ ვიმსჯელებთ, რამდენად შეესაბამება სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობები სტრატეგიულ მიზნებს. სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ინდიკატორით განსაზღვრული ყველა კომპონენტი. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებით გაწერილი აქვს ერთწლიანი გეგმის შემუშავება, რომელშიც მოცემული იქნება ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დასრულება სკოლას გათვალისწინებული აქვს 16.09.2024წ.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც მოცემული იქნება ინდიკატორით განსაზღვრული ყველა კომპონენტი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 16.09.2024 წლამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 6 - სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია
- სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები

- დანართი N 3 - სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წ
- დანართი N 42 - სამეურვეო საბჭოს ოქმი (სამოქმედო გეგმის დამტკიცება)
- სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი
- დანართი N 45 - სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- დანართი N 2 - სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს/წ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნა. მონიტორინგის განხორციელების ფორმები - დაკვირვება და შეფასება. ასევე ანგარიშის წარმოდგენის მეთოდები - ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოდგენენ წერილობით ანგარიშს და მტკიცებულებებს.

რჩევა: მიზანშეწონილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად უფრო მკაფიოდ გაიწეროს შეფასების მექანიზმებიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.



3. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 6 - სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი N 6 - სტრატეგიული განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

- სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში მოქმედებს სქემატურად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები.

სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურული სქემა. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით.

სკოლის სტრუქტურული სქემა საჭიროებს დაზუსტებას. მაგ. არ არის განსაზღვრული ვინ შედის ადმინისტრაციაში, ტექნიკურ პერსონალში.

რჩევა: მიზანშეწონილია სტრუქტურული სქემა უფრო დაზუსტებით მოიცავდეს ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობას. მკაფიოდ ჩანდეს რომელი სტრუქტურული ერთეული რომელს ექვემდებარება და როგორია მისი შემადგენლობა. ასევე მიზანშეწონილია სქემაში მოცემული სტრუქტურული ერთეულების/პირების დასახელებები ზუსტად იმეორებდეს სკოლაში რეალურად არსებული ერთეულების/პირების დასახელებებს. მაგ. დისციპლინური კომიტეტი სტრუქტურის სქემაში მოხსენიებულია როგორც დისციპლინური საბჭო. მიზანშეწონილია იდენტური იყოს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სტრუქტურულ სქემაში მოცემული კათედრების დასახელებები. მაგ. მათემატიკის კათედრა თუ მათემატიკისა და ტენოლოგიების კათედრა.

თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია დირექტორის მ/შ ბრძანებით #2-20 28.03.2024წ. „თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობრივი პოზიციები. განსაზღვრულია დირექციის წევრების (დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრის უფლებები და მოვალეობები), ასევე პედაგოგიური პერსონალის - მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების (ფსიქოლოგის, სსსმ პირის ასისტენტის), ასევე მტუკ-ის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, საინფორმაციო მენეჯერის, სკოლის ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარემის უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები:

სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ომი 20.06.2022წ. სამეურვეო საბჭოს ოქმი #5 07.09.2023წ. (დღის წერიკი სამეურვეო საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება), ასევე სამეურვეოს ოქმი #3 05.06.2024წ. სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი #1 16 ოქტომბერი 2023 წელი - თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, დისციპლინურ კომიტეტში თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევა.

სამეურვეო საბჭოს ოქმი #7 17.10.2023წ. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ. კომიტეტი შედგება 6 წევრისაგან (2 მასწავლებელი, 2 მშობელი და 2 მოსწავლე).

დირექტორის ბრძანება #2-71 16.07.2024წ. მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების შესახებ (სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედსაბჭოს თავმჯდომარე, თვითმმართველობის თავმჯდომარე).

სტრუქტურული სქემისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა:

1. მათემატიკის, 2. ქართული ენისა და ლიტერატურის, 3. უცხო ენების, 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების, 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, 6. სპორტისა და ესთეტიკის, 7. დაწყებითი კლასების. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება - დირექტორის ბრძანება #2-35 1 აპრილი, 2024 წელი კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომელთა თანამდებობრივი ვალდებულებები გადანაწილებულია და გაწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესში, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში, დებულებებში და შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საქმიანობის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც 2018 წლიდან სკოლის შიდა ბრძანებით რეგისტრირებული იყო ემისში, როგორც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. 2020 წლის ოქტომბრიდან კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დისკრეციის წესით დანიშნულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად და დღემდე ასრულებს ამ ფუნქციას. დირექტორის მ/შ-ს ექვემდებარება სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეურნეო პერსონალი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის ყველა

თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული დასაქმებული ხელმოწერამდე ეცნობა დოკუმენტს. თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები ასახულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 9 - სკოლის სტრუქტურული სქემა;
- დანართი N 4 - შინაგანაწესი;
- დანართი N 54, დანართი N 55, დანართი N 56, დანართი N 57, დანართი N 58, დანართი N 60 - შრომითი ხელშეკრულებები;
- დანართი N 10 - თანამდებობრივი ინსტრუქციები - დირექტორის მ/შ ბრძანება #2-20 28.03.2024წ.
- სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ომი 20.06.2022წ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #5 07.09.2023წ.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი #1 16 ოქტომბერი 2023 წელი
- დირექტორის ბრძანება #2-71 16.07.2024წ. მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების შესახებ
- დანართი N 86 - სამსახურეობრივი ბარათი
- დანართი N77 - შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (სკოლის დირექტორის ბრძანება #2-17 28 მარტი 2024 წელი). დოკუმენტით გათვალისწინებულია კადრების მოზიდვისა და შერჩევის პრინციპები, მასწავლებლის შერჩევის პროცედურები, კონკურსის გამოცხადების ეტაპები და წესები, გათვალისწინებულია საპრეტენზიო კომისიის საქმიანობა. ასევე ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება.

საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალში შედის: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურებისა და თანამშრომლების უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და შრომით ხელშეკრულებებში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისათვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს, ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროებების პროგნოზირებას მოთხოვნის დადგენით საჭირო შემთხვევაში. საჭირო პოზიციაზე

მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სკოლა ახორციელებს შიდა გადაადგილებებს ფუნქციის დაკისრებისა და საჭირო კადრის გარედან მოზიდვის სახით. საჭიროებიდან გამომდინარე - პერსონალის საავადმყოფო ფურცელზე ან/და დეკრეტულ შვებულებაზე გასვლის შემთხვევაში - სკოლა მოქნილად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რათა კრიტიკულ შემთხვევაში ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს, არ დაირღვეს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება. თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სამუშაოზე გამოცხადებას და ვერც დროულად აცნობებს სკოლას აღნიშნულის შესახებ, ხდება ჩანაცვლება იმავე საგნის მასწავლებლით შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სკოლა არ აწარმოებს ჩანაცვლების ჟურნალს. მასწავლებლის მიერ წინასწარი წერილობითი განცხადების შემთხვევაში ჩამნაცვლებელ პედაგოგს ეძლევა სათანადო ანაზღაურება. სკოლას არ ჰყავს ცალკე შემცვლელი მასწავლებელი, მოვალეობების გადანაწილება ხდება სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამდებობრივი ინსტრუქციები**, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი. **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს კონკურსის ეტაპებს:** 1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის ელექტრონული საქმისწარმოება, კერძოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლების ვაკანსიების გვერდი. სკოლამ 2020 წლის იანვარში გამოაცხადა ღია კონკურსი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის/მადიებლის ვაკანსიაზე, ასევე იმავე პერიოდში უცხო ენის მასწავლებლის ვაკანსიაზე. ისტ-ის მასწავლებლის კონკურსში განაცხადი შემოიტანა 3 კანდიდატმა, რომელთაგანაც საკონკურსო კომისიამ შეარჩია ერთ-ერთ კანდიდატი - უფროსი მასწავლებლის სტატუსით. შერჩეულ კანდიდატთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (მე-12 მუხლი) ითვალისწინებს სკოლის დირექტორის უფლებამოსილებას დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე ღია კონკურსის მეშვეობით.

რჩევა: ვაკანსიების გვერდზე გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა ეს მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია სკოლის მიერ უფრო დეტალურად იყოს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია კვალიფიკაციის დასადასტურებლად. ასევე მიზანშეწონილია აპლიკანტის შერჩევის დროს საკონკურსო კომისიამ შეადგინოს 3 ოქმი **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილი კონკურსის 3 ეტაპის** (1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა) გათვალისწინებით). ასევე მიზანშეწონილია შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დირექტორმა წერილობითი სახით ოფიციალურ დოკუმენტში ასახოს შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. ასევე სამტატო განრიგი. წარმოდგენილია თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ფურცლები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის კვალიფიკაცია წარმოდგენილი შრომით ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შემთხვევითი დათვალიერების გზით. **სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი**, ამათგან 6 წამყვანი მასწავლებელი, 17 უფროსი მასწავლებელი. ხელშეკრულებები დანომრილია რიგითობის მიხედვით და გატარებულია **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში**, რომელიც დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი **კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები**: 1) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; 2) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და კანონმდებლობის შესაბამისადაა განსაზღვრული მათი ფუნქცია-მოვალეობები. მაგ. ხელშეკრულება მუსიკის უფროსი მასწავლებელთან #5-18 15 სექტემბერი 2020 წელი, ხელშეკრულება ქართული ენის წამყვან მასწავლებელთან #5-9 1 თებერვალი 2021 წელი (პროფესიული ვალდებულებები განსხვავებულია).

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. დაკმაყოფილებულია ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შესარჩევად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალი შეირჩევა კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. პერსონალის შერჩევის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20.08.2019წ. №174/ნ ბრძანების „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2007წ. №959 ბრძანების „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პირადი საქმეები (ექიმის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის). მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით და სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის ექიმი შერჩეულია ღია საკონკურსო წესით 2023 წლიდან, ექიმის სერტიფიცირებულია და აქვს სათანადო კვალიფიკაცია - არის ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი (სახელმწიფო სერტიფიკატი #003266 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალირტი დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო). აქვს სამუშაო გამოცდილება - ბავშვთა პოლიკლინიკაში განყოფილების გამგე ბავშვთა მეთვალყურეობის ფუნქციით . ექიმთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

სკოლის ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და დირექტორის მ/შ-ს ამავე სკოლაში დასაქმებული არიან მასწავლებლის პოზიციაზე. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს (უფროსი და წამყვანი მასწავლებელი). მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება დადგენილ ნორმას.

სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეში ინახება კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი ცნობები: ცნობა ნასამართლობის შესახებ. ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში დამკვიდრებული პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი პერსონალის მაღალი ჩართულობა და თანამშრომლობა

დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. შემუშავებულია ადაპტაციის წესი, რომლის მიხედვით ხდება, სკოლაში ახლად დასაქმებული კადრის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაცია. სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებსა და საჭიროებებს. საგნობრივ კათედრებზე იგეგმება სამოქმედო გეგმების შემუშავება, **კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“.** ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. თანამშრომლობითი სასწავლო გარემო და გუნდურობა სკოლას ძლიერ მხარედ აქვს მითითებული SWOT ანალიზში და ეს გამოჩნდა თანამშრომლებთან შეხვედრების/გასაუბრებების დროს. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის დამადასტურებლად კოლეგიალური ორგანოების (პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების და სხვა) შეხვედრების ოქმები. საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად სკოლაში შექმნილია თიმისა და ფეისბუქის ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება. მაგ. მესენჯერში მასწავლებელთა ჯგუფი სახელწოდებით „მელანის საჯარო სკოლა“. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, უკუკავშირის მიღებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების პრეცედენტები, სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. **სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში** - ამოცანა #3 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორცაა გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირების მიცემა, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება. სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირის ფორმა გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის

განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა) და სკოლამ უფრო მეტად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 4 - შინაგანაწესი;
- დანართი N 11 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი
- დანართი N 54 - შრომითი ხელშეკრულებები;
- დანართი N 59 - თანამშრომელთა პირადი საქმეები
- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)
- დანართი N 52 მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირი
- დანართი N 13 - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება
- დანართი N12 - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- დანართი N 10 - სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. მე-19 მუხლის მიხედვით - შესრულებული სამუშაოს შეფასება - დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესებს. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია შეფასების პრინციპები და მეთოდები. მაგ. შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება. ასევე შეფასების ეტაპები: დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება და საბოლოო შეფასება.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება საჭიროებების დადგენასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-27 29.03.2024წ. „სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ზოგადი დებულების დამტკიცების შესახებ. ხარისხის ჯგუფი ახორციელებს შიდა შეფასებას - მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ჩატარებული გაკვეთილის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას, ეხმარება მასწავლებლებს პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენაში და უწყევს მათ კონსულტაციას და სხვა. დებულება განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის შემადგენლობას და საქმიანობის წესს, ასევე საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და გაკვეთილის შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი 7.12.2023 წ. რომლის დღის წესრიგი მოიცავს VII კლასში ჩატარებული ფიზიკის გაკვეთილის შეფასებას.

სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვები, რის საფუძველზეც დგინდება კონკრეტული საჭიროებები და ხდება შესაბამისი პოზიტიური უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების ხედვა, რომელიც ეფუძნება საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორც ყოველდღიური მიმდინარე პროცესი. შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, სასკოლო საზოგადოების ურთიერთობები დამყარებულია ნდობასა და მხარდაჭერაზე. სკოლა ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები. განიხილავს და იზიარებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პედაგოგებს აცნობს საკანონმდებლო სიახლეებს და ეხმარება შესაბამისი რესურსების მოძიებაში (ინფორმაცია, ტრენინგები, კონფერენციები, ელექტრონული რესურსები). ჩაერთონ რაიონულ და რესპუბლიკურ კონფერენციებში. მასწავლებელთა ლიდერობის მიმართულებით დაგეგმილ ტრენინგებში - USAID საბაზისო განათლების პროგრამაში ჩართული იყვნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობები სხვადასხვა ტრენინგების გავლის შესახებ. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიკატების ნიმუშები ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ორგანიზებულ რაიონულ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. გამოიყენება სიტყვიერი წახალისების ფორმები:

მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლას შემუშავებული სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივების მხარდაჭერის სქემა - დირექტორის ბრძანება #2-22 28 მარტი 2024 წელი. მოცემულ ეტაპზე სქემა არ ფუნქციონირებს, თუმცა დაგეგმილია მისი ამოქმედება მომავალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 11 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დანართი N 52 - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირი;
- დანართი N 49 - ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი;
- დანართი N 71 - მასწავლებლების სერტიფიკატების ფოტო
- დანართი N 14 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- დანართი N 5 - საინფორმაციო დაფის ფოტო;
- დანართი N 4 - სკოლის შინაგანაწესი
- დანართი N 15 - სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივების მხარდაჭერის სქემა
- დანართი N 113 - ტრენინგების დამადასტურებელი ცნობები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის **პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას**, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, მიზნები, სასწავლო პროცესის სხვა საკითხები. სკოლაში ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობა, უკუკავშირების გაცემა კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება და სხვა პროცესები, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განვითარებას. **სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**, რომელიც დამტკიცებულია სკოლის **დირექტორის მ/შ ბრძანებით #2-30 29.03.2024წ.** „სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას, რომლის საფუძველზეც ხდება საბოლოო შეფასება და ანალიზი. სკოლაში დანერგილია შიდა ხარისხის მართვის სისტემა: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და მოახდინე რეაგირება. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გათვალისწინებულია სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობის შემოწმება, კურიკულუმების შემოწმება, სასწავლო პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და მოსწავლთა მხარდაჭერის სისტემის შემოწმება. განსაზღვრულია ის

მონაცემები, რომელთა მოგროვებითაც სკოლა შელძემს საჭირო ანალიზის გაკეთებას. ასევე განსაზღვრულია რეაგირების მექანიზმები და ღონისძიებები. გათვალისწინებულია ანგარიშვალდებულების მექანიზმი.

სკოლას აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-27 29.03.2024წ. „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“. ასევე 2021 წლიდან სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის ჯგუფს ევალება მასწავლებელთა შიდა შეფასებამისი ფუნქციებისა და შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედებას: კვლევების (ანკეტირების) ჩატარებას, ფოკუს ჯგუფების გამოკითხვას და მიღებული მონაცემების დამუშავების გზით შესაბამისი რეაგირებების დასახვას. ასევე დაგეგმილი აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა პროცესებში და დემინგის ციკლის ეტაპების გამოყენება: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გააუმჯობესე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სასწავლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სხვა). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სასწავლო მიზნების მიღწევას. ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/რგოლების ფუნქცია-მოვალეობები და მათი განხორციელების პროცედურები (სამეურვეო საბჭო და მისი ფუნქციები, პედაგოგიური საბჭო და მისი ფუნქციები, საგნობრივი კათედრების და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მისი ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი და მისი ფუნქციები და ა.შ).

სკოლაში ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად რგოლს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში,

გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. **შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს** შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). **საქმისწარმოების პროცესები დარეგულირებულია** სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. სკოლაში სწავლის შედეგების შეფასებისა და სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მოქმედებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის მონიტორინგისა და სრულყოფის მიზნით, ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და მასწავლებლებს აძლევს უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული გასაჩივრების წესის შესაბამისად. **ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი**, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. სკოლა ცდილობს შექმნას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სივრცე როგორც მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, ასევე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინური კომიტეტის ან/და სამეურვეო საბჭოს მიერ რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება არ დამდგარა. ბოლო წლების განმავლობაში დისციპლინურ გამოწვევებზე რეაგირებას ახდენს სკოლის დირექტორის მ/შ.

დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში. საჩივრების განხილვა ხდება სკოლის დირექტორის 28.03.2024წ. #2-15 ბრძანების მიხედვით „სკოლაში გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საჩივრის წერილობითი ფორმის შემადგენლობა და გასაჩივრების ვადები, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი, თუმცა დოკუმენტი უფრო შაბლონური ხასიათისაა და საჭიროებს დაზუსტებებს.

სკოლას არ ჰყავს მანდატური, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად გამოყოფილი ჰყავს თანამშრომელი (ბუღალტერი), რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები.

რჩევა: მიზანშეწონილია გასაჩივრების წესი უფრო დეტალურად არეგულირებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, მტკიცების ტვირთი, აკადემიური საჩივარი, საჩივარზე უარის თქმა, რა შედეგები მოყვება საჩივრის განხილვას, გასაჩივრების სპეციალური ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. **დამტკიცებულია შინაგანაწესი**, რომელიც განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. **შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები**. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. **მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება**, მშობლები ინფორმირებული არიან მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ გაცემული ინფორმაციების მეშვეობით. თანამშრომელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში **გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.

პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით.

თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. **მრჩეველთა საბჭოს ოქმი #4 28.12. 2023წ.** - ანგარიშის მოსმენა 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით

სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები და მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი - დირექტორის მ/შ **ბრძანება #2-09 29 თებერვალი 2024 წელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ**. სკოლას არ ჰყავს პერსონალური დაცვის ინსპექტორი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის მ/შ ბრძანება #2-09 29 თებერვალი 2024 წელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.
- დანართი N 14 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- დანართი N 13 - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა
- დანართი N 4 - სკოლის შინაგანაწესი;
- დანართი N 2 - სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N 3 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დანართი N 16 - გასაჩივრების წესი;
- დანართი N 43 - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7;
- დანართი N 17 - მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- დანართი N 51 - მრჩეველთა საბჭოს ოქმი N4;
- დანართი N 18 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- დანართი N 19 - პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა სხვადასხვა არხითა და ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, კერძოდ: სოც. ქსელები, მესენჯერის ჩათი, სატელეფონო კომუნიკაცა, პირისპირ შეხვედრები მშობლის დღეს, საჭიროების შემთხვევაში ინფორმირებაში მონაწილეობს საქმის მწარმოებელი. სკოლაში პერიოდულად ეწყობა მშობლებთან შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების, არჩევითი საგნების, მეორე უცხო ენის და სკოლაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობის

მიზნით. სკოლას ასევე აქვს ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის FB გვერდი, რომელზეც ათავსებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიახლესა თუ პროცედურას. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის I სართულის ფოიეში მოწყობილი **საინფორმაციო დაფა**, რომელზეც ასახულია არაერთი ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების ადა სიახლეების შესახებ.

დირექტორის მ/შ ბრძანება #2-40 4 აპრილი 2024 წელი - სკოლაში საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 4 არეგულირებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მუხლი 5 - ინფორმაციის გავრცელების რესურსებს, მუხლი 6 - შიდა და გარე კომუნიკაციას.

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები, რომელთა დღის წესრიგში შეტანილია ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, უფლება-მოვალეობების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება მშობელსა და სკოლას შორის, მშობელთათვის სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მშობლის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ხელმოწერით დადასტურება. მაგ. მე-11 კლასის **მშობელთა კრების ოქმი #1 29.09.2023წ.** დანართი მშობელთა ხელმოწერით, მე-7 კლასის **მშობელთა კრების ოქმი #1 15.9.2023წ.** მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 25.06.2024წ. მოსწავლეთა მიერ მე-2 უცხოური ენის არჩევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. სამეურვეო საბჭოში ასევე წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის წევრი, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს საბჭოს სხდომებში. პედაგოგიურ საბჭოში გაწევრიანებული ყველა პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში.

სკოლის კოლეგიალური ორგანოები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმის დამტკიცება, ფართის უსასყიდლოთ დროებით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობა და სხვ.

სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: პედსაბჭოს ოქმი #8 7.09.2023 წელი. პედაგოგიური საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება, სამეურვეო საბჭოს ოქმი - #5 7.09.2023 წელი. სამეურვეო საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი - დირექტორის მ/შ ბრძანება #2-40 04.04.2024წ.
- დანართი N 5 - საინფორმაციო დაფის სურათი;
- დანართი N44, დანართი N45, დანართი N46, დანართი N 53 - კოლეგიალური ორგანოების ოქმები (სამეურვეო, პედსაბჭო, თვითმმართველობა)
- პედსაბჭოს ოქმი #8 7.09.2023 წელი. პედაგოგიური საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება,
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - #5 7.09.2023 წელი. სამეურვეო საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება.
- მე-11 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 29.09.2023წ. დანართი მშობელთა ხელმოწერით,
- მე-7 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 15.9.2023წ.
- მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 25.06.2024წ. მოსწავლეთა მიერ მე-2 უცხოური ენის არჩევის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,

უსაფრთხოების დაცვის საკითხებში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლას ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ბუღალტერი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე და რომელსაც აქვს შესაბამისი ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-14 19.03.2024წ.

„სკოლების საგრანტო დაფინანსების „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით“ დამტკიცებული „მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ძალადობისაგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება მორიგე მასწავლებლის და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. მორიგეობის განრიგი გამოკრულია ცენტრალურ ფოიეში. სკოლიდან მოსწავლის გაშვება საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე ხდება კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი. ყოველი გაკვეთილის დაწყებისთანავე, მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას სპეციალურ ჟურნალში. მოსწავლის გაცდენის შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელი უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და არკვევს გაცდენის მიზეზს. უსაფრთხოების დაცვას ღამით უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას შემოვლებული აქვს კაპიტალური ღობე და დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია **ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები 6 ცალი დამუხტულ მდგომარეობაში)**. საევაკუაციო გეგმები გამოკრულია ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია მტუკ-ი.

სკოლა აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და შექმნილი აქვს საგანგებო შტაბი. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-42 12.04.2024წ. „სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 14 ნოემბრის #2-56 ბრძანებაში „სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. ამავე ბრძანებით (#2-42 12.04.2024წ.) განსაზღვრულია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები (საგანგებო შტაბის უფროსის, საევაკუაციო ჯგუფის უფროსის, კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის უფროსის და სხვა).

სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესათანხმებლად გაგზავნა 15 აპრილს 2024 წელი - წერილი MES 9 24 0000431118 შინაგანა საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე. სკოლამ 18 აპრილს მიიღო პასუხი გეგმის შეთანხმების თაობაზე - წერილი #22401165486 18.04.2024წ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტისაგან. სკოლამ დათქმულ ვადაზე ადრე განახორციელა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი აქტივობა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების შესახებ.

სკოლამ გაგზავნა წერილობითი მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში 22.03.2024წ. რომლითაც ითხოვა - შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. სკოლის მიმართვის საფუძველზე განხორციელდა სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის შედეგადაც დადგინდა რომ შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლისადმი #92401003789 03.04.2024წ.). სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი #131 01.04.2024წ. სკოლა გეგმავს შემდგომი ნაბიჯების გადადგმას. აღსანიშნავია, რომ სკოლას 2022 წელს საკუთარი სახსრებით ჩატარებული აქვს სახანძრო გაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს დასკვნა. სკოლას წარდგენილი აქვს განაცხადი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 19.03.2024წ. რეგისტრაციის ნომერი #100214024 შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით და ელოდება ექსპერტიზის ვიზიტს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას შეძლებს 19.03.2025 წლამდე. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 19.03.2025 წლამდე.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

ასევე მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით #131 01.04.2024წ. გაცემული რეკომენდაციების შესრულება. ასევე უზრუნველყოს სხვენთან დამაკავშირებელი სახანძრო კიბის მონტაჟი იმგვარად, რომ კიბე არ იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში ფუნქციონირებს დადგენილი სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა. საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან ხდება ექიმის ჩართულობით - ექიმი უკავშირდება კლასის დამრიგებელს, ის მშობელს და ამის შემდეგ ხდება ბავშვის გატანება სახლში. ასეთ შემთხვევას ექიმი აღირიცხავს ჟურნალში. ექიმი დირექტორის ბრძანებით პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზეც.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დრტოს დაათვალიერა ექიმის კაბინეტი. კაბინეტი მოქმედებს 2016 წლიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების - სამედიცინო ოთახის მოწყობის შედეგად. ინფრასტრუქტურის სააგენტომ მიაწოდა სკოლას სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა. სკოლამ წარმოადგინა აღჭურვილობის დოკუმენტი - მიღება-ჩაბარების ქტი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის მედიკამენტებით. სკოლა აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვის ფორმას.

სკოლის მოქმედი ექიმი 2016 წლიდან არის დასაქმებული სკოლაში და შერჩეულია საკონკურსო წესით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ექიმის პირადი საქმე. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს - სერტიფიცირებულია პედიატრიაში, აქვს სამუშაო გამოცდილება - პოლიკლინიკაში ბავშვთა მეთვალყურეობა. სკოლამ გადასცა ექიმს პერსონალური კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ექიმი ახდენს მონაცემების ელექტრონული ფორმატით დამუშავებას. სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტითა და სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის/კაბინეტის ფუნქციონირების წესით. სტანდარტის შესაბამისად, ექიმი აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას.

გარდა ამისა, ექიმი პერიოდულად ატარებს შეხვედრებს და საუბრებს მოსწავლეებთან პირადი ჰიგიენის, თამბაქოს მავნე ზეგავლენის, ჯანსაღი კვების საკითხებზე. მონაწილეობს დაუნის სინდრომის დღის და სხვა მსგავსი დღეების აღნიშვნაში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში დირექტორის მ/შ ბრძანებით გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და დამტკიცებულია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირები. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა. ორივე სართულზე გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. მორიგე მასწავლებელი ყოველდღიურად, სასწავლო პროცესის დასრულების ბოლომდე აკონტროლებს უცხო პირთა შემოდინებას. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შესასვლელი კარის მუდმივ მეთვალყურეობას უზრუნველყოფს სკოლის მტუკი და აკეთებს აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში.

სკოლა ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა დისციპლინაზე და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის მ/შ და კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მეთვალყურეობას. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით - დამონტაჟებულია უსაფრთხოების 8 კამერა (4 შიდა და 4 გარე პერიმეტრზე), რომლითაც სრულად კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. მონიტორი დაპროგრამებულია სკოლის სამდივნოს/დირექტორის ოთახში, მონიტორინგს ახორციელებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სამდივნოს ოთახში ზის.

სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება რეაგირების ღონისძიება კლასის დამრიგებლისა და სკოლის დირექტორის მ/შ მხრიდან. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის დარღვევების ჟურნალში და სკოლა თავის მხრივ ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას.

სკოლას ურთიერთობა აქვს სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთან და სოციალურ სამსახურთან სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი #4 28.12.2023წ., რომელშიც მითითებულია სკოლის დირექტორის მ/შ ანგარიში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, სკოლაში მოეწყო მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში, ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება), ოჯახში ძალადობა, ბულინგი და კიბერბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესი. აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი პლაკატები გამოკრულია სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა ხელს უწყობს უსაფრთხო ფსიქო-ემოციური გარემოს შენარჩუნებას მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების გზით და ატარებს პრევენციული სახის ღონისძიებებს. კერძოდ, სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლის ყველა საფეხურის კლასებში დამრიგებლები უთმობენ დროს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების თემატიკას. ასევე ხორციელდება სხვადასხვა პროექტები ცნობიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ, **სკოლა ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობებს** ისეთ თემებზე, როგორცაა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობა. აღნიშნული აქტივობების ამსახველი კედლის გაზეთები და პლაკატები გამოკრულია საკლასო ოთახებსა და დერეფნებში.

შენობის პირველ სართულზე, ინფორმირების მიზნით **მოწყობილია საინფორმაციო დაფა**, სადაც გამოკრულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურეობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, სკოლის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომერი.

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა **სადამრიგებლო პროგრამა**, კლასის დამრიგებლები, პრევენციის მიზნით, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ სადამრიგებლო საათის თემატიკას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კლასის დამრიგებლის 18.09.2023წ. აქტი**, რომლითაც დასტურდება მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრა საინფორმაციო ხასიათის იყო და ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. **ასევე სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მასალები** - საუბარი თემაზე როგორ გამოიყენოს მოზარდმა თავისუფალი დრო, ბულინგი სკოლაში, ბულინგი და მისი მახასიათებლები და სხვა. ასევე **მე-7 კლასის მშობელთა კრების ოქმი #5 17.02.2024წ. დღის წესრიგი**: როგორ ატარებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს, რა არის ბულინგი და რა გზები არსებობს მისი პრევენციისათვის. ასევე **მოსწავლეთა წერილობითი ნამუშევრები ბულინგის თემაზე**.

სკოლაში მოქმედებს რეფერირების სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანება #2-20 08.05.2015წ. „ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესის დამტკიცებისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“. სკოლას აქვს რეფერირების რეესტრი - ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის აღრიცხვის რეესტრი. **საჭიროების შემთხვევაში სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიის ცენტრთან** და სოციალურ მუშაკთან. მაგ. რეფერირების ჟურნალში აღრიცხულია 2024 წლის მე-7 კლასის მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევა (კიბერბულინგი), მოსწავლის მშობლის საჩივრის საფუძველზე.

საქმის მოგვარებაში ჩაერთო მანდატურის სამსახური. გარდა რეფერირების ჟურნალისა, სკოლის დირექტორის მ/შ აქვს ჟურნალი, სადაც აღრიცხავს მოსწაღეთა დისციპლინურ გადაცდომებს.

სკოლაში არსებობს სოციალიზაციისათვის განკუთვნილი მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის ადგილები (სკვერი, ეზო, სპორტული მოედანი). სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, ამ ფუნქციას ასრულებენ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (სკოლის საქმის მწარმოებელი) და სკოლის ექიმი. დირექტორის მ/შ განმარტებით მათი ძალისხმევით სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად მდგრადი გარემო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილია ტექნიკური პერსონალი (ორი დამლაგებელი და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), რომლებიც საგაკვეთილო პროცესის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სისტემატიურად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. ასევე სკოლის ექიმი ზედამხედველობას უწევს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დამლაგებლებთან და ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც დაწვრილებით გაწერილია მათი ვალდებულებები სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. რეგულარულად ხდება სანიტარულ ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მათ შესანახად გამოყოფილია სპეციალური სივრცე. სკოლას აქვს ეზო და რეკრეაციული ზონა, რომელიც მუდმივად სუფთავდება. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ.

სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

სკოლაში სასმელად გამოყენებული წყლის ხარისხი შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში წყლის სისუფთავეს ამოწმებს ყოველწიურად სანეპიდსადგური. სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები და წყლის დაწვევის შემთხვევაში ალტერნატიული წყარო (რეზერვუარი), რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა

სამედიცინო ცენტრი „მედი ლუქსის“ საგამოცდო ლაბორატორიის ოქმი 25.10.2021წ. რომლითაც დასტურდება სასმელი წყლის მდგომარეობის შესაბამისობა დადგენილ ნორმატივებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც იცავს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების პირად მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამი პირი. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - სკოლის დირექტორის ბრძანება #2-08 29.02.2024წ. „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“. ასეთ პირებად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და სკოლის ექიმი. მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი მონაცემების დამუშავება ხდება პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობით.

სკოლა ცდილობს რეაგირება მოახდინოს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე. კერძოდ, სოციალურ ქსელში მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები ნებართვის გარეშე. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაზე პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება სკოლის სოციალურ ქსელში ხდება მშობლის თანხმობით. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა თანხმობის ფორმა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მასწავლებელთა ხელმოწერებით. ასევე მშობელთა თანხმობის შესრულებული ფორმა (მშობელთა კრების დანართი ხელმოწერებით) სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ფოტო/ვიდეო გადაღებაზე.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (14.06.2023წ.) შესაბამისად ან დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს ერთი პირი/შეუთავსოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქცია ერთ-ერთ თანამშრომელს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს სკოლაში გამოყოფილი პირის შესახებ და ეს ინფორმაცია იდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე (სკოლას შეტყობინების ვალდებულება აქვს დანიშნუიდან/განსაზღვრიდან 10 დღეში).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები: დოკუმენტაცია ინახება საგანგებო ოთახში და მასზე კონტროლს ახორციელებს პასუხისმგებელი პირი, სკოლას არ ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი - საინფორმაციო მენეჯერი. სკოლას გააჩნია ციფრული ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმა და მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება მისი ამოქმედება. **ამჟამად ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე მხარდაჭერა დაევალა სკოლის ისტ-ის მასწავლებელს.** სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებ-გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევას აცნობებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და უზრუნველყოფს ასეთი შემთხვევების აღრიცხვას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 61 - ბრძანება ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის
- დანართი N 20 - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- დანართი N 5 - ფოტოები: ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმა, კამერები და მონიტორი; ექიმის კაბინეტი, მორიგეობის ცხრილი, აღრიცხვის ჟურნალი, ხელსაბანი, დასუფთავების წესი
- დანართი N 62 - მიმართვა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ;
- დანართი N 72 - ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის;
- დანართი N 73 - ბრძანება ექიმზე-სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე;
- დანართი N27 - სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი;
- დანართი N 74 - სადამრიგებლო პროგრამა
- დანართი N 58, დანართი N57, დანართი N60 - ხელშეკრულება დარაჯთან; დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი
- დანართი N 19 - პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

- დანართი N 75 - პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მშობელთა თანხმობები;
- დანართი N 76 - პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მასწავლებელთა თანხმობები;
- დანართი N 67 - დასკვნა სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ;
- დანართი N 21 - ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დანართი N 51 - მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი (დირექტორის ანგარიში რეკომენდაც. შესრულებაზე)
- დანართი N 61 - ხელშეკრულება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.;
- დანართი N77 - შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი;
- დანართი N 64 - წერილი შენობის მდგრადობის შესახებ
- დანართი N 63 - წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გეგმასთან დაკავშირებით; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- დანართი N 66 - ბრძანება მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირის შესახებ
- დანართი N18 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სკოლის შენობა აშენებულია 2011 წელს. სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა შეესაბამება არსებულ მოსწავლეთა რაოდენობას და შესაბამისია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. სკოლას აქვს ერთი შენობა-ნაგებობა - ორსართულიანი კორპუსი. სკოლამ წარმოადგინა შენობის აზომვითი ნახაზი.

პირველ სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, კვების ობიექტისათვის განკუთვნილი ოთახი, დირექციის კაბინეტი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, რესურს-ოთახი, სველი წერტილები. მეორე სართულზე განლაგებულია -საკლასო ოთახები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სულ 12 საკლასო ოთახია ორივე სართულზე. სკოლა ამჟამად სწავლობს ერთ ცვლაში თითო პარალელური კლასით. სკოლას განაცხადი შემოტანილი აქვს 190 მოსწავლეზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 118 მოსწავლე. საკლასო ოთახების რაოდენობა საკმარისი იქნება სკოლის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის მოსწავლეებისათვის.

შშმ პირთათვის მოწყობილია ადაპტირებული გარემო - სველი წერტილი I სართულზე და პანდუსი პირველ სართულზე ცენტრალურ ფოიეში, თუმცა არ არის მეორე სართულთან დამაკავშირებელი პანდუსი. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით. რომელთაგან 9 გამოსულია მწყობრიდან, სკოლამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს 10 დამატებითი კომპიუტერის მოთხოვნით. . საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განკუთვნილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის და განლაგებულია მერხები 16 მოსწავლისათვის. ლაბორატორია აღჭურვილია სხვადასხვა მოწყობილობებით (მაკეტები ბიოლოგიისათვის, ფიზიკის აპარატურა, კედლის თვალსაჩინოებები-ცხრილები). თუმცა ლაბორატორიას არა აქვს ცეცხლგამძლე სადემონსტრაციო მაგიდა, გამწოვი კარადა და ხელსაბანი. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

სააგენტოს (21.03.2024წ.) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის თაობაზე (სადემონსტრაციო მაგიდით, გამწოვი კარადითა და ელექტროფორული მანქანით).

სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი კი სათანადოდ არ არის აღჭურვილი, საჭიროებს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით. სკოლის წერილი #337359 21.03.2024წ. ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს სპორტული დარბაზის მოწყობას და გარე ღია სპორტული მოედნის აღჭურვას სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. იმავე წერილით სკოლა ითხოვს შშმ პირებისათვის ლიფტის ან პანდუსის მოწყობას მე-2 სართულზე კაბინეტ-ლაბორატორიით რომ ისარგებლონ. სკოლა ასევე ითხოვს 10 ერთეული კომპიუტერის მიღებას კომპიუტერული ლაბორატორიისათვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის სადემონსტრაციო მაგიდას, გამწოვი კარადასა და ელექტროფორულ მანქანას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა შეთანხმების წერილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიასთან #90-902423533 თარიღი: 22/08/2024წ. ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებამდე, ანაზღაურების გარეშე, ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით, 11 - დან - 15 საათამდე, მოსწავლეებმა ისარგებლოთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მელაანის მიწის მოედნით. ასევე სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #2-74 23.08.2024წ. „სოფელ მელაანის მიწის მოედანზე სპორტის გაკვეთილებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“.

რჩვა: მიზანშეწონილია სკოლამ მოაწესრიგოს დაზიანებული ელექტროგაყვანილობა - შეკიდული ჭერის გადამწვარი გრძივი განათების ნათურების გამოცვლა.

მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა სადემონსტრაციო მაგიდით, გამწოვი კარადითა და ხელსაბანით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად ინფრასტრუქტურის სააგენტოს დახმარებით.

სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის - მიღება-ჩაბარებების აქტები:

- საკლასო ინვენტარი - მერხები/სკამები - 200 ერთეული (სამივე საფეხურის).
- კომპიუტერები - სულ 40 კომპიუტერი - აქედან 19 ნოუთბუკი, 3 ბუკი დაწყებითების მასწავლებლის, 13 სამაგიდო კომპიუტერი, 5 პორტატული კომპიუტერი. ამ 40-დან მუშა მდგომარეობაშია 4 სამაგიდო კომპიუტერი, 19 ნოუთბუკი და 3 ბუკი და 2 პორტატული კომპიუტერი.

- კომპიუტერები განაწილებულია - სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კანცელარიაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში.
- პროექტორები - 2 (მიღებულია 2019 წელს) და 4 (მიღებულია 2023 წელს).
- პრინტერი - შავი-თეთრი - 4 ცალი - 3 მოქმედი. ფერადი პრინტერი - არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მატერიალური რესურსით საყოველთაო სარგებლობის შესაძლებლობას. ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სკოლაში არსებული რესურსებზე: ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ექიმის კაბინეტი, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო სივრცე დერეფანში, საერთო სარგებლობის სივრცეები (დიდი და ნათელი დერეფანი, სკვერი, ეზო) ქმნის ერთობლიობაში საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. სკოლას გააჩნია ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმი, რომელიც აღწერს და აფასებს ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსებს.

სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი - დირექტორის ბრძანება #2-39 04.04.2024წ. რომელიც აწესრიგებს სხვადასხვა სივრცეებით სარგებლობის პირობებს: საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, კომპიუტერული კაბინეტის, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურს-ოთახის, ბიბლიოთეკის. აწესრიგებს არსებული მატერიალური რესურსისა და სასკოლო ინვენტარის დაზიანების შემთხვევებს.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში - განთავსებულია 19 ნოუთბუკი, რომელიც მიღებულია ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში. მასწავლებლებს განაწილებული აქვთ ლეპტოპები და იყენებს ყველა მასწავლებელი. 4 ერთული პრინტერი (მუშა მდგომარეობაში) განაწილებულია სამდივნოში, სამასწავლებლოში, კომპიუტერის ოთახში. სამასწავლებლოში დამონტაჟებულია 2 პრინტერი და მასწავლებლებს შეუძლია თავისუფლად ისარგებლო ბეჭდვით. 4 ცალი მუშა პროექტორი განაწილებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საიდანაც მასწავლებლებს შეაქვთ საკლასო ოთახებში საჭიროების მიხედვით.

კომპიუტერული ლაბორატორიის და სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენების წესი და განრიგი გაწერილია სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში, ასევე სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ლაბორატორიებით გამოყენების წესი - დირექტორის მ/შ ბრძანება #2-28 29.03.2024წ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არ არის საკმარისი რაოდენობის პერსონალური კომპიუტერი/ლეპტოპი. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი #1240000337359 21.03.2024წ. რომლითაც ითხოვს 10 ერთულ კომპიუტერს კომპიუტერული ლაბორატორიისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სამუშაო გარემო; აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, წიგნის თაროები და კარადები, კომპიუტერი, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე და მეთოდური ლიტერატურა). მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანის მიხედვით; გამოკრულია სამკითხველო სივრცეში ქცევის წესები, წიგნებს აქვს ჯიბაკები, ნომერი და ბეჭედი. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გაცემისა და დაბრუნების აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. სკოლის ბიბლიოთეკაში დაწყებულია ელექტრონული კატალოგის შექმნა და გაციფრულება.

სკოლაში ფუნქციონირებს **ბიბლიოთეკის დებულება**, რომლის მიხედვით მიმდინარეობს საბიბლიოთეკო მომსახურება. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში დიდი წიგნადი ფონდია (მხატვრული და შემეცნებითი, ამავე დროს სამეცნიერო წიგნები, თუმცა ძირითადად მოძველებულია). ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, აქვს სათანადო კატალოგი. ოთახში განთავსებულია ლექტოპი, პროექტორი. ხშირად მიმდინარეობს მოსწავლეთა სასწავლო ღონისძიებები. სკოლა სოციალურ ქსელში ტვირთავს ინფორმაციას ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

რჩევა: მიზანშეწონილია ბიბლიოთეკარს ჰქონდეს წლის სამოქმედო გეგმა, ასევე გაიაროს სათანადო ტრენინგი საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევისა და წიგნადი ფონდის ელექტრონული აღრიცხვიანობის საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგ-კურსი ბიბლიოთეკარს მისცემდა შესაძლებლობას უფრო ეფექტურად გამოიყენოს სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო სივრცე საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არსებული რესურსები ყველასთვის ხელმისაწვდომია. სკოლას აქვს სამი შესასვლელი, პირველ სართულზე არის პანდუსი, ორივე სართულზე - სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას არა აქვს მეორე სართულთან დამაკავშირებელი პანდუსი ან ლიფტი შშმ პირთათვის. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სკოლამ წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გნვითარების სააგენტოს #1240000337359 21.03.2024წ. რომლითაც ითხოვა შესაბამისი დახმარება.

სკოლაში განთავსებულია შშმ და სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო მრავალფეროვანი რესურსებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურს ოთახი; სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც გაწერილია მოსწავლეებისთვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, რომელიც ითვალისწინებს მეორე სართულთან დამაკავშირებელი საშუალების უზრუნველყოფას.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ადაპტირებული გარემოს სრულად უზრუნველყოფა (მეორე სართულთან დასაკავშირებელ ინფრასტრუქტურის - პანდუსის ან ლიფტის მონტაჟი) 21.03.2025 წლამდე. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული საზიარო სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობული ეზო, სადაც არის მწვანე ნარგავები, მწვანე მოლი, დამონტაჟებულია სკამები. მოპირკეთებულია ფილებით და შესაძლებლობას ქმნის შეასრულოს სოციო-კულტურული სივრცის ფუნქცია, მოეწყოს ღონისძიებები. ეზოს ნარგავების მოვლა-პატრონობას სკოლა საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს, ეს ფუნქცია სკოლის დირექტორის მიერ დაკისრებული აქვს სკოლის მტუკ-ს.

სკოლაში არსებული სივრცეები - ბიბლიოთეკა, დერეფნის თავისუფალი სივრცე (რადგან სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, სასკოლო ღონისძიებებისთვის იყენებენ სკოლაში არსებულ თავისუფალ სივრცეს ან საკლასო ოთახებს) გამოიყენება სხვადასხვა მხატვრული, შემოქმედებითი, ინტელექტუალური თუ სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

სკოლა არის ახლად აშენებული და მისი ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტით მოთხოვნილ ნორმებს. სასწავლო პროცესის ეფექტურად და ხარისხიანად განსახორციელებლად სკოლას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები: საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საგნების შესაბამისი რესურსებით; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია მუშა მდგომარეობაში მყოფი 21 ლეპტოპით, 4 პროექტორით (სკოლას მიწერილი აქვს წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან პერონალური კომპიუტერების მოთხოვნაზე).

მიუხედავად სპორტული დარბაზის არქონისა, **სკოლას აქვს გარკვეული სპორტული ინვენტარი**: ბურთები, თოკი, ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკის დაფები (ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიწერილია წერილი სპორტული გარე მოედნის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ). სკოლას აქვს რუკები, პლაკატები, ფლიფარტის დაფები. ბიბლიოთეკა მუშაობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესით და ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 22 - მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- დანართი N 65 - წერილი ინფრასტრუქტურას
- დანართი N8 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- დანართი N 64 - წერილი სამხარაულის ბიუროს
- დანართი N 23 - ბიბლიოთეკის დებულება
- დანართი N 5 - ფოტოები ინფრასტრუქტურის
- დანართი N 24 - ლაბორატორიებით სარგებლობის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც არის 21 ლეპტოპი, 4 პროექტორი, სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით - **სრულად არის დაფარული Wi-Fi ქსელით**. სკოლაში 2020 წლიდან (ახალი სკოლის მოხდელში ჩართული სკოლა) არის საკაბელო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, ქსეროქსით.

რაც შეეხება სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებას, კომპიუტერების დაბალი პარამეტრებისა და ინტერნეტის დაბალი სიჩქარის, ასევე, ქსელის შეზღუდვების გამო მიმდინარეობს შეფერხებით. ტექნიკური ბაზა საჭიროებს განახლებას (სკოლას მიწერილი აქვს წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან პერსონალური კომპიუტერების მოთხოვნაზე) და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, მისი ფუნქცია დაკისრებული აქვს ისტ-ის მასწავლებელს. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს უწყვეტად მიეწოდება შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია.

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა - სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-26 29.03.2024წ. „სკოლის ციფრული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“. გეგმა აწესრიგებს საზიარო სივრცული სივრცეებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის. ასევე სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და სკოლის პერსონელისათვის დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე გაკვეთილების შემდეგ და არასასწავლო დღეებშიც (ოლიმპიადები, სავალდებულო სასკოლო აქტივობები). სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები მასწავლებლებისთვის: სამასწავლებლო, სკოლის ბიბლიოთეკა, დირექციის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბიბლიოთეკა არის ის სივრცე, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ერთობლივად მუშაობა. მასწავლებლები სარგებლობენ კომპიუტერული ტექნიკით - სამასწავლებლოში, სადაც გამოყოფილია ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული ლეპტოპები. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში შეუძლიათ პროექტორების გამოყენება.

სასკოლო საზოგადოება ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ფეისბუქ-ჯგუფებს, Teams-ის, Zoom-ს, Google, Office 365-ის აპლიკაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 65 - წერილი ინფრასტრუქტურას
- დანართი N 24 - ლაბორატორიებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. დირექტორის ბრძანება #2-32 29.03.2024წ. „სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დოკუმენტით გათვალისწინებულია დოკუმენტაციის ბრუნვის ორგანიზება, შემოსული და გასული დოკუმენტაციის დამუშავების წესი, საერთო და საკადრო ბრძანებების დამუშავების წესი. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი, თავის მხრივ, შეესაბამება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისს დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ №414 ბრძანებულებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საერთო და საკადრო ბრძანებები გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აქვს სხვადასხვა ინდექსი. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, რითაც უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას **"eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს**. სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. **დირექტორის მ/შ ბრძანება #2-41 14.09.2023წ.** „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად სკოლის საქმისმწარმოებლის განსაზღვრის შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლის ინტერნეტი და ელექტრონული ხელმოწერისთვის საჭირო მოწყობილობა სკოლის დირექციას საშუალებას აძლევს მართვისთვის გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - eflow, eschool, google, gmail, 75ffice 365.

სამდივნოში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში **მოქმედებს Eflow-ს სისტემა**, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, იტვირთება დირექტორის თითოეული ბრძანება, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. ასევე, **მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა**, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი.

ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ექსპერტთა მიერ ამოღებულ იქნა თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში **მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა**, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური **facebook გვერდი**. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ **Teams პლატფორმას**, სადაც ტარდება თანამშრომელთა ონლაინ სამუშაო შეხვედრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 25 - დირექტორის ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ
- დანართი N 26 - დირექტორის ბრძანება საქმისმწარმოებელზე - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- დანართი N 77 - ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი
- დანართი N 78 – 10 დეკემბრის ანგარიში საკანონმდებლო მაცნეს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას და აქვეყნებს სასკოლო სიახლეებს სოციალური ქსელის, FB გვერდის საშუალებით. აღნიშნულ გვერდზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაციები სასკოლო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. ეს ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლა ინფორმაციას ასევე ავრცელებს ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების საშუალებით, მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს.

საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვეთება თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-40 04.04.2024წ. წესი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ-რესურსები (ელ-ფოსტა და სოციალურიკ არხები), კომუნიკაცია გზები თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან, ვიზიტორებთან. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით არეგულირებს უკუკავშირის შედეგებისა და ანალიზის სახეებს.

ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმების ნიმუშები რომელთა დღის წესრიგიც შეიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო გეგმის გაცნობა, სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა. ოქმს ახლავს დანართი მშობლების ხელმოწერებით. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის საფუძველზე სკოლა საკუთარ ვებ გვერდზე ეტაპობრივად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციების განთავსებას. სკოლის სოციალური ქსელის FB გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, შემეცნებითი ღონისძიებების

შესახებ არის სანდო და უტყუარი. სოციალური ქსელის FB გვერდს ხელმძღვანელობს ისტორიის პედაგოგი ნებისმიერი ინფორმაცია გამოქვეყნების წინ გადის ფილტრაციას, მოწმდება ფაქტის ობიექტურობა და სანდოობა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება #2-72 16.07.2024წ. „სკოლაში ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

სკოლის ვებ-გვერდის მისამართი <https://bit.ly/Melaanisskola>

სკოლის ფეისბუქ გვერდის მისამართი <https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი - <https://bit.ly/Melaanisskola>, რომელიც ქართულ ენაზეა. ვებგვერდი ფუნქციონირებს და მასზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის ამსახველი ინფორმაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი. განაცხადის შევსების მომენტში ტექნიკური პრობლემის გამო ვერ ხერხდებოდა მასზე საჭირო ინფორმაციის განთავსება. ამჟამად ტექნიკური პრობლემა მოგვარებულია, ვებგვერდი ფუნქციონირებს და მასზე განთავსებულია ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმა, ანგარიში ფინანსური საქმიანობის

შესახებ. გასაჩივრების წესი, ასევე მხარდაჭერის სერვისები - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ადამიანებისა პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, ციფრული განვითარების გეგმა, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სტრატეგიული გეგმა --- ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N7 - სკოლის ვებ-გვერდის (<https://bit.ly/Melaanisskola>) და ფეისბუქ გვერდის მისამართი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100088344773496>)
- დანართი N 28- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების წესი
- დირექტორის მ/შ ბრძანება #2-72 16.07.2024წ. „სკოლაში ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად შეადგენს მოსწავლეთა **ვაუჩერული დაფინანსება**, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი და არასაბიუჯეტო შემოსავალი (ბანკის სარგებელი). ფინანსური რესურსი მიმართულია სკოლის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, რომელიც წინასწარ დაგეგმილია შესყიდვების გეგმის სახით. **შესყიდვების განკარგვა ხდება საჭიროებების მიხედვით.** კერძოდ, შესყიდვების მომზადებისას სკოლა თვითნებურად განსაზღვრავს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, რომელსაც ადგენს წინა წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის ცვლილება. შესყიდვის განხორციელების დროს მიღებული პრაქტიკაა დაინტერესებული პირის მხრიდან სამსახურებრივი ბარათით მიმართვა სკოლის დირექტორის სახელზე არსებული საჭიროების დაკმაყოფილების თაობაზე. მაგ. **სკოლის მტუკ-ის განცხადება 27.10.2023წ.** რადიატორების გასათბობად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ.

ყოველი კალენდარული წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს დირექტორისაგან წარედგინება მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიში, რომლითაც სამეურვეო საბჭო ახდენს წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მონიტორინგს.

ამ ანგარიშის საფუძველზე ხდება მომდევნო წლის სავარაუდო ბიუჯეტის შემუშავება. **ბიუჯეტის პროექტს ადგენს ბუღალტერი დირექტორთან შეთანხმებით და 10 დეკემბრამდე წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.** ბიუჯეტის შემუშავებისას პირველ რიგში ყურადღება ექცევა სტრატეგიული პრიორიტეტებით გათვალისწინებულ აქტივობებს და მათთან შესაბამისობას.

სკოლა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სხვადასხვა სასწავლო რესურსის შეძენას, საკანცელარიო ნივთებისა და სპორტული ინვენტარის შეძენას, კომუნალურ ხარჯებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსური რესურსების მართვაში აქტიურად მონაწილეობს სკოლის ბუღალტერი. სკოლამ უკვე გაიარა ტრენინგები ფინანსთა სამინისტროში ხაზინაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მიიღო სათანადო კოდები და ანგარიშის ნომრები და ელოდება ხაზინის მომსახურენაზე გადასვლას.

სკოლას გააჩნია შესყიდვების წლიური გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დეტალურად გაწერილია სკოლის საჭიროებები. სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს. პირველ რიგში ხდება აუცილებელი ხარჯების დაფარვა, ხოლო შემდეგ სტრატეგიული პრიორიტეტების რეალიზების ხელშეწყობი აქტივობების დაფინანსება. ბიუჯეტის შექმნის დროს გათვალისწინებულია ასევე კათედრების, საგნის მასწავლებლების, პროექტზე მომუშავე ჯგუფების წერილობითი მომართვებიც. **ფინანსური დაგეგმვის პროცესში სკოლა ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს.** წინასწარ შემუშავებულია ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესი და პროცედურები. 2023 წლის განმავლობაში მოხდა ბიუჯეტის რამდენჯერმე კორექტირება და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.01.2024წ. რომლის დღის წესრიგი მოიცავს სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას.

სკოლაში დანერგილია ანგარიშგების სისტემა - ბუღალტერი სისტემატურად აკეთებს ბიუჯეტის შესრულების ანალიზს და ყოველთვიურად დირექტორს აწვდის ინფორმაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ბუღალტერს 2013 წლიდან შემუშავებული აქვს **ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ფორმა.** ფორმა მოიცავს შემოსავლებს და გასავლებს თვეების მიხედვით, ასევე ნაშთს, რომელსაც ყოველთვიურად წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოქმედებს სამსახურებრივი ბარათის პრაქტიკაც, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ბუღალტერი წარადგენს დირექტორის სახელზე და დეტალურად აღწერს მუხლების მიხედვით ხარჯებსა და ნაშთს. სკოლა ბიუჯეტის ხარჯვას აქვეყნებს ყოველი სემესტრის ბოლოს თვალსაჩინო ადგილზე, სამასწავლებლოში ათავსებს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 79 - შესყიდვების გეგმა;
- დანართი N 80 - ფინანსური ანგარიში
- დანართი N 81 - 2023-24 სასწავლო წლის სავარაუდო ბიუჯეტი
- დანართი N 45 - სამეურვეო საბჭოს ოქმი (დირექტორის ანგარიში 10 დეკემბრის)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.01.2024წ. რომლის დღის წესრიგი მოიცავს სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას.
- სკოლის მტუკ-ის განცხადება 27.10.2023წ. რადიატორების გასათბობად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ.
- დანართი N5 - ფოტო-მასალა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს აგრეთვე **მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები**. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებული არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

შინაგანაწესით გათვალისწინებულია უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 20. სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, მუხლი 24. სკოლაში ჩაცმულობის წესი

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას - პირველი სართულის ცენტრალურ ფოიეში. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში პირველ მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომლებშიც მითითებულია რეგულაციის წესები. მშობელი ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას.

სკოლას შემუშავებული აქვს **დამრიგებლის მუშაობის დებულება**, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ. დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. **დებულება** ითვალისწინებს დამრიგებლის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპებს, სადამრიგებლო სასაუბრო თემებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა **კლასის დამრიგებლის პროგრამების ნიმუშები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებისათვის**, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეებთან სამუშაო მიმართულებები 2023-2024 ს/წ: მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, რასაც ასახავენ მშობელთა კრების ოქმში. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, საჯაროა სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირთათვის. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა თვითმმართველობამ, პედსაბჭომ და სამეურვეო საბჭომ. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში. ხელშეკრულებაში ასახულია ისეთი მუხლები, რომლებიც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას.

შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას - შენობის ცენტრალურ ფოიეში. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზე. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა ხდება დაუყოვნებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა კრებებზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია სკოლისა და მშობლების ვალდებულებები. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-41 12.04.2024წ. დებულება დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესს, მშობლებთან ურთიერთობის ფორმას და პრინციპებს.

სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში. ხელშეკრულებას თან ერთვის მშობლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი სოციალურ ქსელში შვილის ფოტოს გასაჯაროება - განთავსებასა და სასწავლო შემოქმედებით ექსკურსიებში მონაწილეობაზე. ხელშეკრულების ასლი ეგზავნება მშობელს/ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 4 - შინაგანაწესი;
- დანართი N 50 - მშობელთა კრების ოქმი NI
- დანართი N 75 - მშობლის თანხმობა;
- დანართი N 82 - მშობელთან დადებული ხელშეკრულება;
- დანართი N 83 - მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- დანართი N 29 - ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი.
- დანართი N 16 - გასაჩივრების წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია **სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-13 28.03.2024წ.** აღნიშნული ბრძანებით დეტალურადაა დარეგულირებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა. სკოლაში ვიზიტის დროს ესპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია.

მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. **სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად**, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლამ წარმოადგინა ბრძანების ნიმუშები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლიდან ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ისინი დამრიგებლების მხრიდან მუდამ ინფორმირებულნი არიან სკოლის სხვადასხვა მომსახურების შესახებ სიახლეებით. სკოლაში, მეხუთე კლასიდან, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეორე უცხო ენა, რაც ზრდის მათ საათობრივ დატვირთვას. სწორედ ამიტომ სკოლა იღებს მშობლისგან თანხმობას.

მშობლების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMs-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. კერძოდ, სკოლაში მოსულ პირს, სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, მიეწოდება საჭირო ინფორმაცია, სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში, სკოლაში წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის შესახებ. გარდა ამისა, პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის/ჩარიცხვის ვადები, ეტაპები და პროცედურები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. მშობლებს კლასის დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე, ასევე, მესენჯერის ჯგუფებში. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს, ასევე, აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის შესახებაც. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას გაწერილი აქვს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები, გამოცდების ტიპები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მშობლებს ეცნობებათ, როგორც მშობელთა კრებაზე, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკვერის გზით.

მოსწავლეთა მშობლებისათვის ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს პირველ სართულზე განთავსებული საინფორმაციო დაფიდან, სკოლის მეილიდან, სკოლის სოციალური ქსელის გვერდიდან, კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილი სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებიდან, პირისპირ შეხვედრებიდან. **სკოლაში პარასკევი დღე დადგენილია მშობელთა მიღების დღედ.** კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომელშიც მითითებულია რეგულაციის წესები, მშობელი შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელმოწერით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში **განცხადებები** პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად **გამოიკვრება** საინფორმაციო სტენდზე, **ზიარდება** სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე **პერსონალური მონაცემების დაცვით**, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა აწყობს **სასწავლო შემეცნებით ექსკურსიებს**, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს და არაფორმალურ შეხვედრებს, რომლის დროსაც სკოლა უსაფრთხო მგზავრობის მიზნით, მძღოლისაგან მოითხოვს კანონით დადგენილ დოკუმენტაციას უსაფრთხო მგზავრობისათვის. სკოლის წარმომადგენელი, დირექცია თუ დამრიგებელი ხვდება მშობლებს, აცნობს მათ სიახლეებს. იღებს მათგან თანხმობას სხვადასხვა აქტივობის შესახებ. **სკოლამ სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიის მაგალითებად მოიყვანა შემდეგი:** ექსკურსია სიღნაღის კედლის სანახავად, მე-6 კლასელებისათვის „ჩვენი საქართველოს“ პრტოგრამით გათვალისწინებული თემების ფარგლებში (დავალეზა დაათვალიერეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობები). ასევე შემეცნებითი ექსკურსია წინანდალში მე-11 კლასელებისათვის ქართული ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული თემის - რომანტიკოსების ფარგლებში. თბილისში ხელოვნების მუზეუმში მე-3 კლასეების შემეცნებითი ექსკურსია.

სკოლაში ფუნქციონირებს ქართული გალობის შემსწავლელი წრე, ჭადრაკის წრე. **მოსწავლეების სკოლაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სატრანსპორტო სამსახური.** თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, შეუძლია ისარგებლოს თანაბარი შესაძლებლობით და მიიღოს შესაბამისი სერვისი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 29 - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხ. დაძლევის, მობილობის წესი
- დანართი N 84 - ბრძანებები საშუალო საფეხურის დაძლევისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ
- დანართი N 50 - მშობელთა კრების ოქმი (შინაგანაწესის გაცნობა)
- დანართი N 85 - ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის შესახებ
- დანართი N 2 - სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N5 - ფოტოები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. დირექტორის მ/შ ბრძანება #2-33 29.03.2024წ. „სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის წესის დამტკიცების შესახებ“. წესი დეტალურად არეგულირებს: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, ცალკე მუხლებით აწესრიგებს პირველკლასელთა ადაპტაციას და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას. განსაზღვრავს წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს, დეზატაპტაციის ნიშნებს და დეზატაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კლასის დამრიგებლის სამუშაო კლასში მობილობით მოსულ ბავშვთან, ასევე პირველკლასელთა ადაპტაციის მასალები, ასევე წაჩინებული მოსწავლეების ექსკურსიით დაჯილდოვების მასალა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის იყენებს საკონსულტაციო სისტემას, ასევე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას - რემედიაციას. სკოლაში ფუნქციონირებს რემედიაციის პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით. დაწყებითი კლასების მოსწავლეები გადიან ქართულისა და მათემატიკის დაწვევისა და დაჩქარების კურიკულუმს, წიგნიერება და რაოდენობრივი წიგნიერება. **სკოლამ სანიმუშოდ წარმოადგინა მე-3 კლასის რემედიაციის მასალები ქართულ ენაში.**

მოსწავლეები და მათი მშობლები სემესტრული და წლიური შეფასების შესახებ ინფორმაციას იღებენ **ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით**. დამრიგებლები აკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. თუ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე დაბალია, მართავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, აორგანიზებენ შეხვედრებს საგნის მასწავლებლებთან, **საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში**, მოსწავლეს საგნის მასწავლებელი უწევს კონსულტაციას და მოსწავლეს ეხმარებიან საგნის დამღევაში. ასევე **სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 ს/წ სემესტრული გამოცდის მასალები**: სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-29 24.06.2024წ. სემესტრული გამოცდების დანიშვნისა და კომისიის შექმნის შესახებ. მშობლის განცხადება სემესტრული ნიშნის ამაღლების შესახებ. სკოლის დირექტორის მ/შ განმარტებით, დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობელთან სატელეფონო ზარის, სოციალური ქსელის დახურული ჩატის საშუალებით.

გარდა ამისა, მოსწავლეთა მხარადასაჭერად წლის ბოლოს ხდება წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება სიგელებით ან/და ექსკურსიით. **სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #2-33 07.07.2022წ. „წარჩინებული მოსწავლეებისათვის წახალისების სახცით ექსკურსიის მოწყობის შესახებ“.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლა ადმინისტრირებას უწევს ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას, კერძოდ, ადგენს ჩასაბარებელი გამოცდების განრიგს, ქმნის კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. ასევე კლასის ხელმძღვანელები დროულად აწვდიან ინფორმაციას სემესტრული ნიშნის ამაღლების შესაძლებლობის თაობაზე. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას. სკოლის ადმინისტრაცია ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს. საგნის მასწავლებელი არჩევს საგამოცდო საკითხებს და კონსულტაციას უწევს მოსწავლეს. სსსმ მოსწავლეებთან მიმართებით, უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მოძიებას და სასწავლო პროცესში ჩართვას. ქმნის ისე ჯგუფს, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ

სასწავლო გეგმებს. კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ ზავშვებს და ეხმარებიან ცოდნის გამყარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის მიერ ხორციელდება აქტივობები და საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა მიდრეკილებების გამოვლენას. რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს.

აქტიურად მუშაობს თვითმმართველობა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია და ფუნქციონირებს: ეკოკლუბი, სამოქალაქო განათლებისა და დებატების კლუბები, რომლებსაც ახორციელებენ შემდეგ პროექტებს: „ჩემი მომავლის გზა“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „სტუმრის მოწვევა ბულინგის თემაზე“, „დასუფთავების აქცია“, ბუკლეტების დამზადება და გამოფენის მოწყობა; ეკო-კლუბის მიერ დაგეგმილი და გახორციელებული პროექტებია: „საქართველოს ენერგო რესურსები“, „ჩვენი სკოლის მწვანე ეზო“, „შენი ჯანმრთელობა შენს ხელშია“, „სემინარი „ადამიანი და მავნე ჩვევა“, საინფორმაციო ბუკლეტი „სუფთა ჰაერი ჩემი უფლებაა“, „დაამზადე შენი ხელით“, „გამწვანების აქცია“; ამ პროექტების მიზანია დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება და სამოქალაქო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო გარემოსა და თავისუფალი სივრცის შექმნა, რომელიც 21-ე საუკუნის პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა დებატების კლუბის, ეკო-კლუბის (ედელვალისი) და სამოქალაქო განათლების კლუბის წესდებები. ასევე სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებები აღნიშნული კლუბების შექმნის შესახებ. კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობების მასალები სხვადასხვა ფორმატში. კლუბების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები საკლასო ოთახებსა და დერეფნებშია გამოკრული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა დაინტერესებულია და მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) წინადადებებს, სურვილებს, ინტერესებს, საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურების გაწევისას. ამისთვის ატარებს შეხვედრებს, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად ზეპირი გამოკითხვის გზით, რათა დაადგინოს, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. ამ დრომდე ძირითადად სკოლა იყენებდა ზეპირი გამოკითხვის ფორმას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება წერილობითი კითხვარების შედგენა, სპეციალური ელექტრონული ფორმების მომზადება, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს გამოკითხვის შედეგები. კითხვარების ანალიზი კი სკოლას დაეხმარება სამომავლო გეგმების დასახვაში, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში, სხვადასხვა მომსახურების დახვეწა/გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რემედიაციის მასალები ქართულსა და მათემატიკაში
- დანართი N41 ისგ გეგმა
- დანართი N42 ისგ ოქმი
- დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმა
- კლუბების წესდებები
- სკოლის დირექტორის ბრძანებები სასკოლო კლუბების შექმნის შესახებ
- ფოტო-მასალა კლუბების საქმიანობის შესახებ
- დანართი N 30 - მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- 2. დანართი N 88 - კლასის დამრიგებლის სამუშაო კლასში მობილობით მოსულ ბავშვთან;
- 3. დანართი N 89.- პირველკლასელთა ადაპტაციის მასალები;
- 4. დანართი N 91 - ბრძანება ნიშნის ამაღლების შესახებ;
- 5. დანართი N 31 - მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა თანამშრომლობს კაჭრეთის მრავალპროფილურ კოლეჯ „აისთან“. ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გაფორმებულია მემორანდუმი. სკოლაში ხორციელდება კულინარიის კურსები მე-8-9 კლასების მოსწავლეებისათვის. კლასის დამრიგებლებისა და მშობელთა ჩართულობით სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ კოლეჯს, ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს და ბევრი მათგანი სწავლას აგრძელებს კოლეჯის სხვადასხვა სპეციალობაზე. მ/წელს „აისმა“ ჩაატარა ინტელექტუალური თამაში მე-7-დან მე-11 კლასელებში რამდენიმე სკოლის მოსწავლეებში.

გარდა ამისა, მეზობელ სკოლებს - ჯიმიტის, ჩალაუბნის და მელაანის სკოლებს შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ჩართული სკოლების მასწავლებლები იხილავენ კონკრეტული სკოლის ფილოსოფიას და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველადი ავტორიზაციის დროს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

მომდევნო სასწავლო წლიდან კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის გეგმის განხორციელების შემდეგ სკოლა გეგმავს შეაფასოს შედეგები გამოკითხვის (ზეპირი/წერილობითი) საშუალებით, გაითვალისწინოს ჩართული პირების რეფლექსიები და მოახდენოს გეგმის რევიზირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 32 - კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 16/ნ.21/02/2018 „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“.

მულტიდისციპლინირებული გუნდის დასკვნის საფუძველზე სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, სამედიცინო, სოციალურ და ქცევით ფაქტორებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებიდან 2 კვირის ვადაში და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ .

ასევე სკოლას აქვს ინტერვენციის გეგმა, რომელსაც ადგენს სპეციალური მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის, სადაც გაწერილია მოსწავლისთვის შესაბამისი აქტივობები, რესურსები და მასალა.

სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, არ ჰყავს საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი .

სკოლაში სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია ხდება პირველ ეტაპზე სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე დაკვირვების, საგნის მასწავლებელთან გასაუბრების და შემდეგ ოფიციალური განაცხადით, რომელიც ეგზავნება რესურსცენტრს და იქიდან მულტიდისციპლინარულ გუნდს, რომელიც ამოწმებს მოსწავლეს და ანიჭებს სტატუსს.

სკოლაში არსებობს ისე ჯგუფი, რომელიც იკრიბება წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ და ფორმდება ამ შეხვედრების ამსახველი ოქმები. ისე შეხვედრებს ესწრებიან საგნის მასწავლებლები, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და სკოლის დირექცია.

სკოლაში ასევე შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომლითაც შესაძლებელია პროცესების რეალურად განსაზღვრა და განხორციელება. ასევე ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები, მოსწავლისთვის აუცილებელი რესურსების შესაძენად, არსებობს ადაპტირებული ფიზიკური გარემო, (პანდუსი, რესურს ოთახი, ადაპტირებული ავეჯი რესურს ოთახში, მოსასვენებელი სივრცე და ა.შ), რაც ზრდის სსსმ მოსწავლის ადაპტაციის ხარისხს და ეხმარება მას სრულფასოვანი განათლების მიღებაში

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთისა და დასკვნას წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს .

მოსწავლეებს აქვთ მათზე მორგებული გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას კლასში და მუშაობს რესურს ოთახში. სპეციალური მასწავლებელი ქმნის მოსწავლისთვის რთული ქცევის მართვის გეგმას ,რომელშიც აღწერს კონკრეტული მოსწავლის რთულ ქცევას და ამ ქცევის თავიდან არიდების მეთოდებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში არსებობს ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილი გარემო და ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა უსაფრთხო და სრულფასოვან გარემოში მიიღოს განათლება. სსსმ მოსწავლესთან მუშაობა ხდება ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. სპეციალურ მასწავლებელს, კლასის ხელმძღვანელს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობელსა და საგნის მასწავლებლებს შორის. ისე ჯგუფის წევრებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან ისე ჯგუფის შეხვედრებზე, რომელიც იმართება წელიწადში მინიმუმ 4- ჯერ, ისე ჯგუფის წევრები უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და გეგმავენ ისეთ აქტივობებს და მიზნებს ,რომელიც უფრო წარმატებული აღმოჩნდა კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში. ასევე მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მშობელთან, იმისთვის რომ მიიღონ უფრო მეტი ინფორმაცია კონკრეტულ მოსწავლეზე და მშობელთან ერთად დაგეგმონ ისეთი მიზნები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სრულფასოვანი განათლების მიღებაში. სკოლა მუდმივად ზრუნავს ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებაზე, ეს იქნება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, აუტიზმის საერთაშორისო დღის აღნიშვნა თუ ა.შ . სსსმ მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართული საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში. სკოლა ზრუნავს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე;

ასევე სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლის და ზოგადად მოსწავლისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების გზაზე ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმას ,სადაც გაწერილია სხვადასხვა ღონისძიებები უმტკივნეულო ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N98 . სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის მასალები

- 2.დანართი N 99. ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- 3.დანართი N100. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- 4.დანართი N101. ისგ ჯგუფის ოქმი N1
- 5.დანართი N102. ისგ ჯგუფის ოქმი N2
- 6.დანართი N103. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- 7.დანართი N 104. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-შეფასება
- 8.დანართი N46. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N9
- 9.დანართი N47. სამეურვეო საბჭოს ოქმი N6
- 10.დანართი N105. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება
- 11.დანართი N106. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დებულება
- 12.დანართი N107. მონიტორინგის ანგარიში
- 13.დანართი N108 .რთული ქცევის მართვის გეგმა
14. დანართი N 109.ტრანზიციის გეგმა
- 15.დანართი N 110.ინტერვენციის გეგმა
- 16.დანართი N 111. სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისის მიწოდება
17. დანართი N112. ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი) არ გააჩნია, რადგან სასკოლო საზოგადოების მხრიდან არ არის ამაზე შესაბამისი მოთხოვნა და ფინანსური შესაძლებლობა. სკოლას აქვს გაცემულ ფართი დროებით უფასო სარგებლობაში სიმღერისა და ჭადრაკის წრეების ფუნქციონირებისათვის. მეცადინეობა ტარდება დღის ბოლოს და ხელს არ უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. მოსწავლეების სკოლაში მოსვლა-წასვლა უზრუნველყოფილია სკოლის უფასო ტრანსპორტით. ტრანსპორტირება ხორციელდება ორი მიმართულებით. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სკოლა წარჩინებულ მოსწავლეებს აჯილდოვებს ექსკურსიით, რომლის ფინანსური მხარდაჭერაც ხორციელდება სრულად სკოლის მხრიდან. სასკოლო ექსკურსიები ეწყობა კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით. კერძოდ, ექსკურსიის მოწყობის მიზნით კლასის დამრიგებელი ან მასწავლებელი მიმართავს სკოლის დირექციას წერილობითი ფორმით და წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კერძოდ, სპეციალური განაცხადის შევსებულ ფორმას, მშობლის თანხმობას, ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. სასკოლო ექსკურსიები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის მშობელთან შეთანხმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში ფუნქციონირებს გალობის შემსწავლელი წრე და ჭადრაკის წრე, აგრეთვე არის ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც ხორციელდება გურჯაანის მერიის მხარდაჭერით. ამ ეტაპზე, სკოლა ვერ

სთავაზობს სხვა დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. მომდევნო სასწავლო წლიდან, მშობელთა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, სკოლა გეგმავს მსურველებს გაუწევს დამატებითი მომსახურება შესაძლებლობის ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლას აქვს დროებით უფასო სარგებლობაში გაცემული ფართი სიმღერის და ჭადრაკის წრეების ფუნქციონირებისათვის. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე. ამ წრეების ფუნქციონირების პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ნორმები, რომლებიც რეგულირდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს უსაფრთხოების წესების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N44 - სამეურვეო საბჭოს ოქმი ფართის გამოყოფაზე;
2. დანართი N 92 - ბრძანება-მოსწავლეთა წახალისების მიზნით ექსკურსიის მოწყობის შესახებ;
3. დანართი N 93 - ტაბელები
4. დანართი N94 - ბრძანება ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 33 - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი 40 - პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1;
- კათედრების შეხვედრის ოქმები:
სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი №1
სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის საზოგადოებრივი კათედრის სხდომის ოქმები.
- დანართი 34 - კათედრის დებულება
- დანართი 2 - სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი 70 - კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მშობელთა უკუკავშირი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
1. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
2. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
3. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 33 - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი 2 - სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი 103 - დაწყებითი საფეხურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- დანართი 38 - დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დანართი 35 - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- დანართი N100 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- დანართი N 105 - ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
- დანართი 104 - ისგ - შეფასება.

- დანართი N101 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი N1;
- დანართი N106 - ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- დანართი N107 - მონიტორინგის ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

